

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი

სისხლის სამართლის საქმეებზე საქმეებზე

2008, # 4

ა მ ნ ი ს ტ ი ა

1.ნარკოტიკული დანაშაული

- ნარკოტიკული საშუალების მომხმარებლისათვის უფლებების ჩამორთმევა

- ნარკოტიკული საშუალების შექენა,შენახვა, მოხმარება, გასაღება (დიდი ოდენობით)

2.ავტოავარია

3.თვითნებობა

1. ნარკოტიკული დანაშაული

ნარკოტიკული საშუალების შეძენა, შენახვა, დიდი ოდენობით მოხმარება

განჩინება

№1388-აპ

27 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),

დ. სულაქველიძე,

ი. ტყეშელაშვილი

უპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ მ. ნ-შვილის ინტერესების დამცველი ადვოკატების - ი. ჯ-შვილისა და ა. რ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 1 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 6 ივნისის განაჩენით მ. ნ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: სსკ-ის 273-ე მუხლით - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 260-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით - 10 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა. მ. ნ-შვილს სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 5 დეკემბრიდან.

მ. ნ-შვილს «ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ» კანონის მესამე მუხლის თანახმად, 5 წლის ვადით ჩამოერთვა: სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, 15 წლის ვადით - საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის უფლება, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება; პასიური საარჩევნო უფლება; იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლება.

საქმეზე არსებული ნივთიერი მტკიცებულება - კუსტარული წესით მიღებული «ჰერონის» ფხვნილი, წონით 0,16065 გრამი, რომელიც ინახება შს სამინისტროს სპეციალურ-ოპერატიულ დეპარტამენტში, უნდა განადგურდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

საქმეზე არსებული ნივთიერი მტკიცებულება - რვა 100 აშშ დოლარიანი კუპიურა, ორი 50 აშშ დოლარიანი კუპიურა, ერთი 10 აშშ დოლარიანი კუპიურა, ერთი 200 ლარიანი კუპიურა, თხუთმეტი 20 ლარიანი კუპიურა, ხუთი 10 ლარიანი კუპიურა, სამი 5 ლარიანი კუპიურა, რაც ინახება თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველოში, უნდა გადაეცეს სახელმწიფო ბიუჯეტს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

საქმეზე არსებული ნივთიერი მტკიცებულება - «მოტოროლა V-3» ფირმის მობილური ტელეფონი, სიმ-ბარათი, 1 გასაღები, ოქროსფერი საათი, სამაჯური, «MEMA-M» ფირმის ვერცხლისფერი ბეჭედი წმინდა გიორგის გამოსახულებით, ვერცხლისფერი ყელსაბამი, რომლებიც ინახება თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველოში, უნდა გადაეცეს მ. ნ-შვილის ნდობით აღჭურვილ პირს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ მ. ნ-შვილის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

მ. ნ-შვილი სისტემატურად ეწეოდა რა ნარკოტიკული საშუალების რეალიზაციას შემდგომი გასაღების მიზნით, დაუდგენელი პირისაგან იძენდა ნარკოტიკულ საშუალება „ჰერონის«, რასაც ასევე უკანონოდ ინახავდა.

2007 წლის 4 დეკემბერს მ. ნ-შვილმა თავის მუდმივ მომხმარებელ მ. ბერიანიძეზე 150 ლარად უკანონოდ გაასხვისა ნარკოტიკული საშუალება „ჰერონი«, რის შემდეგაც იმავე დღეს მ. ბერიანიძე შეძენილ ნარკოტიკულ საშუალებასთან ერთად დააკავეს შს სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს თანამშრომლებმა. მ. ბ-მემ ითანამშრომლა გამოძიებასთან და დაასახელა მ. ნ-შვილი, როგორც მისთვის ნარკოტიკული საშუალების მუდმივი მიმწოდებელი, რის შემდეგაც პოლიციის თანამშრომლებმა 2007 წლის 5 დეკემბერს, 14.15 საათზე, მ. ნ-შვილი დააკავეს ქ. თბილისში, ბავშვთა სამყაროს მიმდებარე ტერიტორიაზე. დაკავების ადგილზე ჩატარებული პირადი ჩხრეკისას მ. ნ-შვილისაგან ამოღებულ იქნა სარეალიზაციოდ გამზადებული, ერთი, ე.წ. „ბაშად« დაფასოებული, მოყავისფრო-მოყვითალო ფერის ნივთიერება ფხვნილის სახით, რაც, ქიმიური ექსპერტიზის №1554/სქ დასკვნის თანახმად, მიეკუთვნება ნარკოტიკულ საშუალება „ჰერონის ფხვნილს«, რომელშიც „ჰერონის« წონა შეადგენს 0,08355 გრამს.

დაკავების შემდეგ მ. ნ-შვილი გადაიყვანეს შს სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ მთავარ სამმართველოში, სადაც ნარკოლოგიური შემოწმების დასკვნა №3217295-ით მას დაუდგინდა

ნარკოტიკული საშუალება „ოპიუმის» ჯგუფის მოხმარების ფაქტი. ადმინისტრაციული წესით იგი დაჯარიმებული იყო 2007 წლის 4 ოქტომბერს.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 1 ოქტომბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულ მ. ნ-შვილის ინტერესების დამცველი ადვოკატები - ი. ჯ-შვილი და ა. რ-შვილი საკასაციო საჩივრით ითხოვენ განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ: სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში მ. ნ-შვილის გამართლებას იმ მოტივით, რომ ამ ნაწილში განაჩენი არის უკანონო, ცალმხრივი, იგი დადგენილია საპროცესო ნორმების უხეში დარღვევით და აგებულია მსჯავრდებულ მ. ბ-ძის ცრუ ჩვენებაზე, ხოლო 273-ე მუხლით - სასჯელის შემსუბუქებას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებული მტკიცებულებებით: მოწმეების - რ. ხ-შვილის, გ. მ-შვილის, ა. კ-ძის ჩვენებებით, ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით, დაკავების, პირადი ჩხრეკისა და ამოღების ოქმებით, ასევე საქმეში არსებული სხვა მასალებით უტყუარად არის დადასტურებული მსჯავრდებულ მ. ნ-შვილის მიერ ნარკოტიკული საშუალების შექმნა-შენახვის ფაქტი.

ამასთან, საკასაციო პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულ მ. ნ-შვილის ქმედებაში არ დასტურდება ნარკოტიკული საშუალების გასაღების ფაქტი, კერძოდ: განაჩენი ამ ნაწილში ეყრდნობა მხოლოდ მოწმე მ. ბერიანიძის ჩვენებას, რომლის თანახმად, იგი ნარკოტიკულ საშუალებებს იძენდა მ. ნ-შვილისაგან და ხვდებოდა სასტუმრო «ვოლხეთის» მიმდებარე ტერიტორიაზე. სხვა რაიმე უტყუარი მტკიცებულება, რაც მიანიშნებს გასაღების ფაქტზე, ბრალდების მხარეს არ წარმოუდგენია და არც პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებს გამოუკვლევიათ. სსკ-ის 496-ე მუხლის მესამე ნაწილისა და 508-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა დასაბუთებული უნდა იყოს. გამამტყუნებელ განაჩენში აღნიშნული უნდა იყოს უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებები, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნა. კანონის აღნიშნულ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, სააპელაციო სასამართლომ განაჩენში არ დაასაბუთა, მოწმე მ. ბ-ძის ჩვენების გარდა, რა მტკიცებულებებზე დაყრდნობით მიიჩნია დადასტურებულად მსჯავრდებულის ქმედებაში ნარკოტიკული საშუალების გასაღების ფაქტი.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მხოლოდ მოწმე მ. ბ-ძის ჩვენება, როდესაც საქმეში არ არსებობს ბრალდების ამ ეპიზოდში სხვა უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებები, რაც მოწმის ჩვენების უტყუარობის შემოწმების საშუალებას მოგვცემს, არ არის საკმარისი მტკიცებულება იმისათვის, რომ პირი დამნაშავედ იქნეს ცნობილი მსჯავრდების ამ ეპიზოდში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ მ. ნ-შვილს განაჩენიდან უნდა ამოერიცხოს ნარკოტიკული საშუალებების გასაღება.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ «ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულ მ. ნ-შვილს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა - უნდა გაუნახევრდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 1 ოქტომბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

მსჯავრდებულ მ. ნ-შვილს განაჩენიდან ამოერიცხოს ნარკოტიკული საშუალების გასაღება.

მსჯავრდებულ მ. ნ-შვილს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი - 10 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა - შეუმცირდეს და მიესაჯოს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

«ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულ მ. ნ-შვილს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა - გაუნახევრდეს.

მსჯავრდებულ მ. ნ-შვილს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, 273-ე მუხლით საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 10 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნარკოტიკული საშუალების შეძენა, შენახვა, დიდი ოდენობით მოხმარება

განჩინება

№1271-აპ

28 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),
- მ. ოშხარელი,
- პ. სილაგამე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ვ. ხ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 16 ივლისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გორის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 7 აპრილის განაჩენით ვ. ხ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა», „ბ», „დ» ქვეპუნქტებითა და 273-ე მუხლით იმაში, რომ ჩაიდინა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა არაერთგზის, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, შენახვა, გადაზიდვა და გასაღება; ასევე - ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარება, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ.

ამავე განაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება პროკურორსა განსასჯელ მ. პ-მეს შორის, რომლის თანახმად, მ. პ-მე ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა», „ბ» ქვეპუნქტებით, 273-ე მუხლით (2007 წლის 30 იანვრის, 12 აპრილისა და 12 ივლისის ეპიზოდები) და დანაშაულთა ერთობლიობით მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით, მ. პ-მემ დანიშნული სასჯელიდან 2 წელი უნდა მოიხადოს სასჯელადსრულების დაწესებულებაში, ხოლო დარჩენილი 5 წლით თავისუფლების აღკვეთა ჩეთავალა პირობით, 5 წლის გამოსაცდელი ვადით; მასვე დამატებით სასჯელად დაეკისრა ჯარიმა 5 ათასი ლარის ოდენობით.

განაჩენით დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2007 წლის 9 ივლისს შს სამინისტროს შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა მოიპოვეს ოპერატიული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ვ. ხ-შვილი იყო ნარკოტიკული საშუალების აქტიური მომხმარებელი და რეალიზატორი.

აღნიშნულის გამო, 2007 წლის 10 ივლისს, „ოპერატიული თანამშრომლის დანაშაულებრივ ჯგუფში ჩართვის შესახებ» დადგენილების საფუძველზე, დანაშაულებრივ ჯგუფში „საკონტროლო შესყიდვისათვის», „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ» კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, ჩართულ იქნა ოპერატიული თანამშრომელი.

2007 წლის 11 ივლისს, დაახლოებით 22 საათზე, ვ. ხ-შვილმა გორში, ე.წ. „ვერხვების» დასახლებაში, უკანონოდ შეძენილი და შენახული დიდი რაოდენობით - 2,26 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი» 240 ლარად უკანონოდ გაასაღა ოპერატიულ თანამშრომელზე.

2007 წლის 12 ივლისს, დაახლოებით 16.05 საათზე, გორის რაიონის სოფელ ხურვალეთის საავტომობილო გზაზე, „ვაზ-2106» მარკის ტაქსით გადაადგილებისას პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს ვ. ხ-შვილი და მ. პ-მე, რომლებსაც, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, ადგილზე ჩაუტარდათ პირადი ჩხრეკა, რა დროსაც ვ. ხ-შვილს ლურჯი ჯინსის შარვლის უკანა, მარჯვენა ჯიბიდან ამოუღეს უკანონოდ შეძენილი და შენახული დიდი რაოდენობით - 0,12 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი».

ვ. ხ-შვილს 2007 წლის 16 მარტს ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებისათვის გორის რაიონული სასამართლოს დადგენილებით დაედო ადმინისტრაციული სახდელი - ადმინისტრაციული პატიმრობა 7 დღე-ღამით. ამის მიუხედავად, ის არ დაადგა გამოსწორების გზას და 2007 წლის 12 აპრილს უკანონოდ, ექიმის დანიშნულების გარეშე მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება „მეტადონი».

აღნიშნული ქმედებისათვის ვ. ხ-შვილს მიესაჯა: სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა», „ბ» და „დ» ქვეპუნქტებით (2007 წლის 2 აგვისტომდე მოქმედი რედაქციით) - თავისუფლების აღკვეთა 8 წლისა და 6 თვის ვადით, დამატებით სასჯელად დაენიშნა ჯარიმა - 4000 ლარი, ამავე კოდექსის 273-ე მუხლით - თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით. საბოლოოდ ვ. ხ-შვილს სასჯელად განესაზღვრა 9 წლისა და 6 თვის ვადით, დამატებით სასჯელად ჯარიმა - 4000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. სასჯელის ათვლა დაეწყო 2007 წლის 12 ივლისიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ვ. ხ-შვილმა. მან ითხოვა სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა», „ბ», „დ» ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში გამართლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 16 ივლისის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული ვ. ხ-შვილი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ ის თავს დამნაშავედ არ თვლის, ხოლო მისთვის დანიშნული სასჯელი საკმაოდ მკაცრია.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატას აღნიშნავს, რომ ვ. ხ-შვილისათვის ბრალად შერაცხული ქმედებები სრულადაა დადასტურებული საქმეზე შეკრებილი და სასამართლოში განხილული მტკიცებულებებით, კერძოდ: მოწმეთა ჩვენებებით, ექსპერტიზის დასკვნებით, ჩხრეკისა და ამოღების ოქმებით. სასჯელი დანიშნულია კანონის შესაბამისად, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების გათვალისწინებით. ამდენად, გასაჩივრებული განაჩენი კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანია და იგი უნდა შეიცვალოს მხოლოდ „ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, კერძოდ, მსჯავრდებულ ვ. ხ-შვილს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, უნდა გაუნახევრდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, „ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ვ. ხ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 16 ივლისის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ.

„ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ვ. ხ-შვილისათვის სსკ-ის 273-ე მუხლით განსაზღვრული სასჯელი - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა განახევრდეს და დაენიშნოს თავისუფლების აღკვეთა 6 თვის ვადით. საბოლოოდ ვ. ხ-შვილს განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით.

სხვა ნაწილში განაჩენი დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნარკოტიკული საშუალების მომხმარებლისათვის უფლებების ჩამორთმევა

განჩინება

№1296-აბ

28 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),**
- მ. ოშხარელი,**
- ლ. მურუსიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ს. ბ-ანცისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ს. მ-რიას საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 4 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 4 ივნისის განაჩენით ს. ბ-ანცი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 273-ე მუხლით იმაში, რომ ჩაიდინა ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარება, ჩადენილი ამ დანაშაულისათვის ნასამართლვეი პირის მიერ, რაც გამოიხატა შემდეგში:

ს. ბ-ანცი 2007 წლის 18 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ დამნაშავედ ცნო სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენაში და სასჯელად განუსაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალია პირობით, 1 წლის გამოსაცდელი ვადით; მასვე დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა 2 ათასი ლარის ოდენობით.

მიუხედავად აღნიშნულისა, ს. ბ-ანცმა გამოსაცდელი ვადის გასვლამდე კვლავ ჩაიდინა ანალოგიური დანაშაული, კერძოდ: 2008 წლის 23 აპრილს თბილისში, მე-2 ნავთლულის დასახლების მე-4 ქუჩის

№78^ა სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე, ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის მუშაკმა დააკავა ს. ბ-ანცი, ვინაიდან ვიზუალურად აღენიშნებოდა ნარკოტიკული საშუალებით თრობა, ხოლო შემოწმებისას კლინიკურად დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტი.

აღნიშნული ქმედებისათვის ს. ბ-ანცს მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 1 წელი და საბოლოოდ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით, რომლის ათვლა დაეწყო 2008 წლის 23 აპრილიდან; მასვე 3 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო საქმიანობის, საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო დაწესებულებაში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა და მისმა ადვოკატმა ს. მ-რიამ. მათ ითხოვეს ს. ბ-ანცის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 4 ივნისის განაჩენის გაუქმება, სასჯელის შემსუბუქება და თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად ჯარიმის გამოყენება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 4 სექტემბრის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად. ამასთან, მსჯავრდებულს სატრანსპორტო საშუალების მართვის, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო უფლება, ასევე - იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები ჩამოერთვა 5 წლით.

კასატორები - მსჯავრდებული ს. ბ-ანცი და მისი ინტერესების დამცველი, ადვოკატი ს. მ-რია საკასაციო საჩივარში აღნიშნავენ, რომ განაჩენი მეტისმეტად მკაცრია, რადგან სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები, კერძოდ: ს. ბ-ანცმა აღიარა ჩადენილი დანაშაული, აქტიურად შეუწყო ხელი გამოძიების სრულად და ობიექტურად ჩატარებას, ამიტომ ასეთ შემთხვევაში, თანახმად სსკ-ის 54-ე მუხლისა, სასჯელის ზომას არ უნდა აღემატებოდეს მუხლით გათვალისწინებული ყველაზე მკაცრი სასჯელის მაქსიმალური ზომის სამ მოთხედს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორები ითხოვენ განაჩენის გაუქმებას, ს. ბ-ანცისათვის დანიშნული სასჯელის შემსუბუქებას და თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად ჯარიმის დანიშვნას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განაჩენი დადგენილია სსკ-ის 496-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების მოთხოვნათა შესაბამისად, იგი ეყრდნობა საქმეში არსებულ უტყუარ მტკიცებულებებს, რაც უდავოდ ადასტურებს ს. ბ-ანცის მიერ სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას.

უსაფუძვლოა კასატორების მითითება სსკ-ის 54-ე მუხლზე, რადგან ეს მუხლი გულისხმობს დანაშაულის ჩადენის შემდეგ დამნაშავის გამოცხადებას ბრალის აღიარებით, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. სააპელაციო პალატამ სათანადოდ იმსჯელა ს. ბ-ანცის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებებზე, გაითვალისწინა მისი პიროვნების მახასიათებელი მონაცემებიც და ისე განუსაზღვრა სასჯელი, რომელიც ვერ ჩაითვლება მეტისმეტად მკაცრად და აშკარად უსამართლოდ.

ამასთან, «ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ» კანონის მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ს. ბ-ანცს სატრანსპორტო საშუალების მართვის, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო უფლება, ასევე - იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლება უნდა ჩამოერთვას 3 წლით, ნაცვლად გასაჩივრებულ განაჩენში მითითებული 5 წლისა.

საკასაციო საჩივარში აღნიშნული მოტივებით სასჯელის შემსუბუქების საფუძველი არ არსებობს, მაგრამ «ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ს. ბ-ანცს უნდა გაუნახევრდეს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად, რადგან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები არ დარღვეულა, ხოლო მატერიალური კანონი სწორადაა გამოყენებული.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, «ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ს. ბ-ანცისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ს. მ-რიას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლოების გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 4 სექტემბრის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ: ს. ბ-ანცს 3 წლით ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის უფლება, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო უფლება, ასევე - იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლება;

«ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ს. ბ-ანცს გაუნახვერდეს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა და განესაზღვროს 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც მთლიანად დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - თავისუფლების აღკვეთა 1 წლით და საბოლოოდ მიესაჯოს 1 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყოს 2008 წლის 23 აპრილიდან.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნარკოტიკული საშუალების შექმნა, შენახვა, მოხმარება

განჩინება

№1410-აპ

28 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ მ. ს-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 8 აგვისტოს განაჩენით მ. ს-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» და მესამე ნაწილის «დ» ქვეპუნქტებით - 5 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა, 273-ე მუხლით - ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით. სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 5 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით.

მ. ს-შვილს «ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ» კანონის თანახმად, 3 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის უფლება, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება; პასიური საარჩევნო უფლება; იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლება.

მასვე სსკ-ის 42-ე მუხლის თანახმად, დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა 4000 ლარის ოდენობით.

მ. ს-შვილს სასჯელის მოხდა დაეწყოს 2008 წლის 2 აპრილიდან. მასვე პატიმრობის ვადაში ჩათვალა დაკავებაში ყოფნის დრო - 3 დღე, 2008 წლის 12 მარტიდან 2008 წლის 14 მარტის ჩათვლით.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ მ. ს-შვილის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2007 წლის 6 დეკემბერს წარსულში ნასამართლევი მ. ს-შვილი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ დააჯარიმა 500 ლარით ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე, უკანონოდ მოხმარებისათვის. აღნიშნულიდან მან სათანადო დასკვნები არ გამოიტანა და კვლავ ჩაიდინა ანალოგიური ქმედება, რაც გამოიხატა შემდეგში:

2008 წლის 12 მარტს ქ. თბილისში, ... ქუჩის №1-ში მდებარე სს „პოპულის» №3 ფილიალში თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს მ. ს-შვილი, რომელსაც ვიზუალურად ეტყობოდა, რომ, სავარაუდოდ, იმყოფებოდა ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ. იგი დაუყოვნებლივ გადაიყვანეს შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ნარკოლოგიური შემოწმების კაბინეტში, სადაც ჩაუტარდა

გამოკვლევა და №3411159 დასკვნის თანახმად, დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალება „მეტამფეტამინის« მიღების ფაქტი.

2008 წლის 2 აპრილს, დაახლოებით 07.00 საათზე, მ. ს-შვილმა განიზრახა, ჩაედინა ქურდობა და მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებოდა რომელიმე მოქალაქის კუთვნილ მოძრავ ქონებას, შემდგომში გაეყიდა და რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხა დაეხარჯა პირადი საჭიროებისამებრ. აღნიშნული განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, იგი იმავე დღეს, დაახლოებით 07.50 საათზე, მივიდა ქ. თბილისში, ... ქუჩის №33-ის ეზოში, სადაც შენიშნა „მერსედეს-ელეგანტის« მარკის ავტომანქანა. მივიდა ავტომანქანასთან და ფარულად მოხსნა კარზე დამაგრებული ორი სარკე თავისი ბუდეებით, რომლებიც მან მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრა, რის შემდეგაც მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრებული ნივთებით შეეცადა შემთხვევის ადგილიდან მიმალვას. ამ დროს მ. ს-შვილი შენიშნეს თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, რომლებმაც იგი დააკავეს.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 ოქტომბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული მ. ს-შვილი საკასაციო საჩივრით ითხოვს სასჯელის შემსუბუქებას იმ საფუძველით, რომ აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, ჰყავს მეუღლე და ორი მცირეწლოვანი შვილი, არის ოჯახის ერთადერთი მარჩენალი, გულით ავადმყოფი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, მსჯავრდებულის აღიარებითი ჩვენებით, დაზარალებულისა და მოწმეთა ჩვენებებით, პირადი ჩხრეკის, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმებითა და ამოღებული ნივთმტკიცებებით, ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილებით და საქმეში არსებული სხვა მასალებით მ. ს-შვილის მიერ მასზე ბრალად შერაცხული დანაშაულების ჩადენა დადასტურებულია, რასაც სადავოდ არც საკასაციო საჩივარი ხდის.

რაც შეეხება კასატორის მოთხოვნას სასჯელის შემსუბუქების თაობაზე, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს და თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და მისი პიროვნების მახასიათებელი მონაცემების გათვალისწინებით, მ. ს-შვილს დაუნიშნა ისეთი სასჯელი, რომლის შეცვლისა და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

ამასთან, პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ მ. ს-შვილს განაჩენის სარეზოლუციო ნაწილიდან უნდა ამოერიცხოს მსჯავრდება სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, როგორც ზედმეტად წარდგენილი, რადგან იგი ასევე ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 177-ე მუხლის მესამე ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, რაც თავისთავად მოიცავს ამავე მუხლის მეორე ნაწილს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ «ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტისა და მესამე მუხლის მეორე პუნქტის საფუძველზე (ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია არ ვრცელდება გადახდილ ჯარიმებზე, რომლებიც შეფარდებულია, როგორც ძირითადი სასჯელი) მსჯავრდებულ მ. ს-შვილს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით - უნდა გაუნახევრდეს. მას სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» და მესამე ნაწილის «დ» ქვეპუნქტებით, 273-ე მუხლით საბოლოოდ მოსახდელად უნდა განესაზღვროს 5 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 500 ლარის ოდენობით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტებით, «ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტითა და მესამე მუხლის მეორე პუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 ოქტომბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

მსჯავრდებულ მ. ს-შვილს ამოერიცხოს მსჯავრდება სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, როგორც ზედმეტად წარდგენილი;

«ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტისა და მესამე მუხლის მეორე პუნქტის საფუძველზე (ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია არ ვრცელდება გადახდილ ჯარიმებზე, რომლებიც შეფარდებულია, როგორც ძირითადი სასჯელი), მსჯავრდებულ მ. ს-შვილს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით - გაუნახევრდეს.

მსჯავრდებულ მ. ს-შვილს სსკ-ის 177-ე მუხლის მესამე ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 273-ე მუხლით საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 5 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 500 ლარის ოდენობით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნარკოტიკული საშუალების მოხმარება

განჩინება

№1420-აპ

28 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),

მ. ოშხარელი,

პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ს. ფ-ავას და მისი ინტერესების დამცველის - ადვოკატ ბ. ჭ-უას საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 6 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ჩხოროწყუს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 6 ივნისის განაჩენით ს. ფ-ავა გამართლდა სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით წარდგენილ ბრალდებაში; იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, მე-4 ნაწილის „ბ» ქვეპუნქტით და 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის შექმნა, შენახვა, მართლსაწინააღმდეგო გადაზიდვა და გასაღება არაერთგზის; ასევე - ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა და შენახვა, რაც გამოიხატა შემდეგში:

ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ... მცხოვრებმა ს. ფ-ავამ №090070872 სისხლის სამართლის საქმეზე „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ» კანონის მეორე თავის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის „გ», „ი» და „კ» ქვეპუნქტების საფუძველზე, დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრად ჩართული, შსს-ს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს უფროსის მოადგილეს, პოლიციის მაიორ კ. ჩ-ძესა და სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო სამმართველოს უფროს ინსპექტორ-გამომძიებელს, პოლიციის ლეიტენანტ ა. გ-იას ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ..., თავის საცხოვრებელ სახლში, პერიოდულად, მართლსაწინააღმდეგოდ მიჰყიდა დანიშნულებისამებრ ვარგისი ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა. მანვე 2007 წლის 11 აგვისტოს თავისივე საცხოვრებელ სახლში ოპერატიულ მუშაკებს - კ. ჩ-ძესა და ა. გ-იას წინასწარ გადაახდევინა 1200 ლარი შემდგომში ორი ერთეული ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის შესაძენად, მაგრამ აღნიშნული ქმედება ვერ განახორციელა.

2007 წლის 12 სექტემბერს ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ..., შსს-ს მუშაკებმა დააკავეს ს. ფ-ავა თავისივე საცხოვრებელ სახლში, რომლის ჩხრეკისას ამოიღეს «პ-7» სისტემის ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარმტყორცნი, მისთვის განკუთვნილი 2 ჭურვი, ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარმტყორცნის ჭურვის ორი კაფსულ-დეტონატორი, „პ-74» სისტემის ატომატური ცეცხლსასროლი იარაღი ერთი მჭიდითა და 23 ცალი საბრძოლო ვაზნით და ნარკოტიკული საშუალება, 91,7 გრამი ნედლი „მარიხუანა».

აღნიშნული ქმედებისათვის ს. ფ-ავა ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: სსკ-ის 236-ე მუხლის I ნაწილით - თავისუფლების აღკვეთა 6 თვის ვადით, დამატებით სასჯელად - ჯარიმა 1000 ლარი; ამავე მუხლის მე-4 ნაწილით - თავისუფლების აღკვეთა 7 წლის და 9 თვის ვადით, დამატებით სასჯელად - ჯარიმა 3500 ლარი; ამავე კოდექსის 260-ე მუხლის I ნაწილით - თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით. საბოლოოდ ს. ფ-ავას სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 13 წლისა და 3 თვის ვადით, დამატებით სასჯელად - ჯარიმა 4500 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

მსჯავრდებულს სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 12 სექტემბრიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ადვოკატმა ბ. ჭ-უამ. მან ითხოვა ს. ფ-ავას ქმედების სსკ-ის 236-ე მუხლის მე-4 ნაწილიდან ამავე მუხლის მე-3 ნაწილზე გადაკვალიფიცირება; მისი გამართლება ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის გადაზიდვის ნაწილში, ხოლო სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით - მინიმალური სასჯელის განსაზღვრა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 6 ოქტომბრის განაჩენით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი შეიცვალა: ს. ფ-ავა გამართლდა ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის გადაზიდვისა და მათი არაერთგზის გასაღების ნაწილში და მისი ქმედება, ნაცვლად სსკ-ის 236-ე მუხლის მე-4 ნაწილისა, დაკვალიფიცირდა ამავე მუხლის მე-3 ნაწილით; აღნიშნული ქმედებისათვის ს. ფ-ავა ცნობილ იქნა

დამნაშავედ და მიესაჯა: სსკ-ის 236-ე მუხლის I ნაწილით - თავისუფლების აღკვეთა 6 თვის ვადით, დამატებით სასჯელად - ჯარიმა 1000 ლარი; ამავე მუხლის I I I ნაწილით - თავისუფლების აღკვეთა 5 წლის და 6 თვის ვადით, დამატებით სასჯელად - ჯარიმა 3000 ლარი; ამავე კოდექსის 260-ე მუხლის I ნაწილით - თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით. საბოლოოდ ს. ფ-ავას სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით, დამატებით სასჯელად - ჯარიმა 4000 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

ს. ფ-ავა ცნობილ იქნა დამნაშავედ იმისათვის, რომ მან ოპერატიული მიზნით ჩართულ პოლიციის თანამშრომლებს - კ. ჩ-ძეს და ა. გ-იას ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ..., თავის საცხოვრებელ სახლში, პერიოდულად - 2007 წლის 27 ივლისს, 6 აგვისტოს და 11 აგვისტოს, მართლსაწინააღმდეგოდ მიჰყიდა დანიშნულებისამებრ ვარგისი ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა. იგი 2007 წლის 12 სექტემბერს დაკავებულ იქნა თავის საცხოვრებელ სახლში, სადაც ჩხრეკისას ამოღებულ იქნა ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა, ასევე - ნარკოტიკული საშუალება.

საკასაციო საჩივრებში მსჯავრდებული და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატი ითხოვნენ სსკ-ის 236-ე მუხლის I I I ნაწილით და 260-ე მუხლის I ნაწილით განსაზღვრული სასჯელების შემცირებას, მათი სიმკაცრის მოტივით.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ ისინი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატას კასატორების მოტივი უსაფუძვლოდ მიაჩნია, ვინაიდან მსჯავრდებულ ს. ფ-ავას ხსენებული მუხლებით სასჯელის ზომა განესაზღვრა კანონით გათვალისწინებული და ერთიანი სასამართლო პრაქტიკით დამკვიდრებულ ფარგლებში, ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ ს. ფ-ავა პირველადაა სამართალში და სრულად აღიარებდა ჩადენილ დანაშაულს, სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 260-ე მუხლის I ნაწილით დანიშნული სასჯელი - 5 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუმცირა 2 წლით.

საკასაციო პალატა ასევე აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განაჩენი დადგენილია სსსკ-ის 496-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების მოთხოვნათა შესაბამისად, იგი სამართლიანია და ეყრდნობა საქმეში არსებულ უტყყარ მტკიცებულებებს, რაც საკმარისია საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად.

ამასთან, ვინაიდან ს. ფ-ავას სსკ-ის 260-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული მსჯავრდება ეხება მხოლოდ ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვას, „ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მას ამ დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელი - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა უნდა გაუნახვერდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, „ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ს. ფ-ავას და მისი ინტერესების დამცველის - ადვოკატ ბ. ჭ-უას საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 6 ოქტომბრის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ.

„ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ს. ფ-ავასათვის სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრული სასჯელი - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა განახვერდეს და დაენიშნოს თავისუფლების აღკვეთა 1 წლისა და 6 თვის ვადით. გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად და ს. ფ-ავას საბოლოოდ განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 7 წლისა და 6 თვის ვადით.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნარკოტიკული საშუალების მოხმარება

განჩინება

№1427-აპ

28 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
- პ. სილაგაძე,
- ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. ლ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 4 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 31 მაისის განაჩენით გ. ლ-შვილი გამართლდა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» და «დ» ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში. იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ ამავე კოდექსის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ე» ქვეპუნქტით, 273-ე მუხლით და მიესაჯა 10 წლით და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2007 წლის 20 ნოემბრიდან. მსჯავრდებულს სასჯელის მოხდის ვადაში ჩათვალა დაკავების დრო - 2007 წლის 27 ოქტომბრიდან იმავე წლის 29 ოქტომბრამდე. მასვე დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა 5 000 ლარის ოდენობით.

ამავე განაჩენით რ. ც-ძე გამართლდა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» და «დ» ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში. იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული ორი ქმედებისათვის და საბოლოოდ მიესაჯა 1 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2007 წლის 20 ნოემბრიდან.

გ. ლ-შვილსა და რ. ც-ძეს 3-3 წლით ჩამოერთვათ სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო და საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო უფლებები, ასევე - იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლება.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 5 სექტემბრის დადგენილებით გ. ლ-შვილი ცნობილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლის შესაბამისად და დაჯარიმდა 500 ლარით.

2007 წლის 20 სექტემბერს, დაახლოებით 16.55 საათზე ქ. თბილისში, დიდუბის ქუჩა №22-თან საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მიერ ადმინისტრაციული წესით დაკავებულ იქნა გ. ლ-შვილი, რომელიც შემოწმების მიზნით წარადგინეს საექსპერტო კრიმინალისტიკურ მთავარ სამმართველოში, სადაც ნარკოლოგიური გამოკვლევის შედეგად დაუდგინდა „ობიუმის« ჯგუფისა და „ბუპრენორფინის« ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარების ფაქტი. აღნიშნულის მიუხედავად, მან კვლავ ჩაიდინა ანალოგიური დანაშაული, კერძოდ, 2007 წლის 17 ოქტომბერს, დაახლოებით 05 საათზე, ქ. თბილისში, წერეთლის ქუჩა №73-თან საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ადმინისტრაციული წესით დააკავეს გ. ლ-შვილი, რომელიც შემოწმების მიზნით წარადგინეს საექსპერტო კრიმინალისტიკურ მთავარ სამმართველოში, სადაც ნარკოლოგიური გამოკვლევის შედეგად დაუდგინდა „მეტამფეტამინის« მოხმარების ფაქტი.

იმავე წლის 27 ოქტომბერს გ. ლ-შვილი კვლავ დააკავეს ადმინისტრაციული წესით და ნარკოლოგიური გამოკვლევის შედეგად დაუდგინდა ნარკოტიკული ნივთიერება „მეტამფეტამინის« მოხმარების ფაქტი.

2007 წლის 8 ნოემბერს, დაახლოებით 23 საათზე, ქ. თბილისში, ... ქუჩაზე, №3-ე კორპუსთან საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მიერ ადმინისტრაციული წესით დაკავებულ იქნა გ. ლ-შვილი, რომელსაც დაუდგინდა „მეტამფეტამინის« მოხმარების ფაქტი.

იმავე წლის 20 ნოემბერს, დაახლოებით 04.30 საათზე გ. ლ-შვილმა განიზრახა აშკარად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაუფლებოდა ... ქუჩა №53-ე საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებულ ავტოსადგომზე გაჩერებული ავტომანქანის გვერდითა ხედვის სარკეებს. იმავე დღეს, დაახლოებით 04.45 საათზე გ. ლ-შვილი და რ. ც-ძე, ამ უკანასკნელის ბიძაშვილ კ. ც-ძესთან ერთად, ი. ლ-რიას მართვის ქვეშ მყოფი „ვოლგო-740« მარკის ტაქსით მივიდნენ აღნიშნულ ავტოსადგომზე, სადაც თავისი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად გ. ლ-შვილმა ი. ლ-რიას გამოართვა დანა, მიუახლოვდა «მერსედესის» მარკის ავტომანქანას, რომლის გვერდითა ხედვის სარკეები მოხსნა ფიზიკური ძალისა და დანის გამოყენებით. მიუხედავად ავტოსადგომის დარაჯის - მ. ნ-ძის მოწოდებისა, არ მოეხსნა სარკეები, გ. ლ-შვილი აშკარად დაეუფლა მათ და

სწრაფად ჩაჯდა ტაქსში, რომლის მძღოლსაც შემთხვევის ადგილიდან გაცლა მოსთხოვა. გ. ლ-შვილმა მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებული ზემოაღნიშნული სარკეები, შემდგომი რეალიზაციისათვის გადამალა ქ. თბილისში, ... ქუჩის №5-ე კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე, ბუჩქებში, რასაც ხედავდნენ რ. ც-მე, ი. ლ-რია და კ. ც-მე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 21 ოქტომბრის დადგენილებით, რ. ც-მე ცნობილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად საქართველოს სსკ-ის 45-ე მუხლის შესაბამისად და განესაზღვრა ჯარიმა 500 ლარის ოდენობით.

მიუხედავად ამისა, იმავე წლის 26 ოქტომბერს, დაახლოებით 23 საათზე ქ. თბილისში, დიდუბის ქუჩა №23-თან, საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მიერ ადმინისტრაციული წესით დაკავებულ იქნა რ. ც-მე, რომელიც შემოწმების მიზნით წარადგინეს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ მთავარ სამმართველოში, სადაც ნარკოლოგიური გამოკვლევის შედეგად, დაუდგინდა ნარკოტიკული ნივთიერება „მეტამფეტამინის« მოხმარების ფაქტი.

იმავე წლის 7 ნოემბერს, დაახლოებით 04.30 საათზე ქ. თბილისში, წერეთლის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე, საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მიერ ადმინისტრაციული წესით დაკავებულ იქნა რ. ც-მე, რომელიც შემოწმების მიზნით წარდგენილ იქნა საექსპერტო-კრიმინალისტიკურ მთავარ სამმართველოში, სადაც ნარკოლოგიური გამოკვლევის შედეგად, კვლავ დაუდგინდა ნარკოტიკული ნივთიერება „მეტამფეტამინის« მოხმარების ფაქტი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს სახელმწიფო ბრალმძებელმა და მსჯავრდებულმა გ. ლ-შვილმა. პროკურორმა მოითხოვა გ. ლ-შვილის დამნაშავედ ცნობა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტებით, 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ე» ქვეპუნქტით, 273-ე მუხლით და სასჯელად 17 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა. მანვე მოითხოვა რ. ც-მის დამნაშავედ ცნობა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტებით, 273-ე მუხლით და სასჯელად 6 წლით და 3 თვით თავისუფლების აღკვეთის დანიშვნა.

მსჯავრდებულმა გ. ლ-შვილმა მოითხოვა მისი ქმედების სსკ-ის 273-ე და 239-ე მუხლებით დაკვალიფიცირება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 9 ოქტომბრის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლ-დ.

კასატორი - მსჯავრდებული გ. ლ-შვილი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ მარცვა არ ჩაუდენია, მისთვის ნაცნობმა დარაჯმა უარი უთხრა ავტოსადგომზე «ეფედრინის» მიღებაზე, რის გამოც განაწყენდა და იქვე მდგარ მანქანას დაუზიანა სარკე, რითაც, მისი აზრით, დარაჯს პრობლემები შეექმნებოდა. გ. ლ-შვილი აღნიშნავს, რომ საქმეში არ მოიპოვება მარცვის ბრალდების ეპიზოდში მისი მამხილებელი მტკიცებულებები და ეჭვი უნდა გადაწყდეს მის სასარგებლოდ.

სამოტივაციო ნაწილი:

სსკ-ის 567-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, პალატამ შეისწავლა საქმე სრული მოცულობით, გაანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

მოწმე მ. ნ-მემ საქმის წინასწარი გამოძიებისას მიუთითა, რომ გ. ლ-შვილმა «მერსედესს» დანის გამოყენებით მოხსნა მარცხენა სარკე, რის გამოც ბოროტმოქმედს დაედევნა ყვირილით - თავი დაანებე, არ გაპატიებო. გ. ლ-შვილმა მოწოდება არაფრად ჩააგდო, სწრაფად ჩაჯდა ტაქსში და მიიმალა. გაირკვა, რომ ავტომანქანის ორივე სარკე მოხსნილი იყო.

მ. ნ-მის სასამართლოში მიცემული ჩვენებით, მას სარკის მოხსნა არ დაუნახავს, თუმცა დაადასტურა, რომ გ. ლ-შვილს მოუწოდებდა - სარკეს ნუ ხსნი, დააბრუნეო.

საქმის წინასწარი გამოძიებისას მოწმე მ. ნ-მის მიერ გადმოცემული ფაქტობრივი გარემოებები სასამართლოში დაადასტურეს მოწმის სახით დაკითხულმა პოლიციელებმა. მათგან ზ. დ-მემ აღნიშნა, რომ ერთ-ერთი დაკავებულის მითითებით აღმოაჩინეს მოპარული სარკეები.

საგულისხმოა ისიც, რომ მ. ნ-მის მიერ საქმის წინასწარი გამოძიებისას აღწერილ გარემოებებს ემთხვევა სასამართლოში დაკითხული ი. ლ-რიას ჩვენებაც. ამ უკანასკნელმა მიუთითა, რომ ავტოსადგომის ტერიტორიაზე ელოდებოდა გ. ლ-შვილს, რომელმაც გამოართვა დანა. გ. ლ-შვილის უკან მობრუნებისას მოესმა ყვირილი - «ბიჭო, მობრუნდიო». ამავდროულად გ. ლ-შვილმა უთხრა: «არ არის პრობლემა, მაგ ბიჭს ვიცნობო».

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განაჩენი ორივე მსჯავრდებულის მიმართ დადგენილია სსკ-ის 496-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების მოთხოვნათა შესაბამისად, იგი ეყრდნობა საქმეში არსებულ უტყუარ მტკიცებულებებს, რაც უდავოდ ადასტურებს გ. ლ-შვილის მიერ სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ე» ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენასაც. ამასთან, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები არ დარღვეულა, ხოლო მატერიალური კანონი სწორადაა გამოყენებული.

«ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გ. ლ-შვილსა და რ. ც-მეს უნდა გაუნახევრდეთ სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელები და იმის გათვალისწინებით, რომ რ. ც-მეს სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 20

ნოემბრიდან, მას ამ განჩინებით საბოლოოდ განსაზღვრული სასჯელი უნდა ჩაეთვალოს მოხდილად და დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს პატიმრობიდან.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილი და

და ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ გ. ლ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 9 ოქტომბრის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულთა სასიკეთოდ: «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, რ. ც-მეს გაუნახევრდეს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 1 წლით და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა და განესაზღვროს 7 თვით და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალოს მოხდილად და რ. ც-მე დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს პატიმრობიდან;

«ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გ. ლ-შვილს გაუნახევრდეს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებებისათვის დანიშნული სასჯელი - 4 წლით თავისუფლების აღკვეთა და განესაზღვროს 2 წლით თავისუფლების აღკვეთა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად და გ. ლ-შვილს საბოლოოდ მიესაჯოს 8 წლით და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნარკოტიკული საშუალების მოხმარება

განჩინება

№1231-აპ

1 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ი. ტყემელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. ხ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 23 ივლისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 27 სექტემბრის განაჩენით გ. ხ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 273-ე მუხლით და სასჯელად განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სსკ-ის 42-ე მუხლის V ნაწილის თანახმად, მას დამატებით სასჯელად დაენიშნა ჯარიმა - 3000 ლარი.

სსკ-ის 67-ე მუხლის V ნაწილის გამოყენებით, გაუქმდა 2004 წლის 7 ოქტომბრის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი - 3 წელი. იმავე კოდექსის 59-ე მუხლის საფუძველზე ამ განაჩენით დანიშნულ სასჯელს დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელი და გ. ხ-შვილს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დამატებით სასჯელად ჯარიმა - 3000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

იგი სასჯელს იხდის 2008 წლის 3 ივნისიდან.

განაჩენით გ. ხ-შვილს მსჯავრი დაედო ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე, უკანონოდ მოხმარებისათვის, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ, რაც გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 29 სექტემბერს გ. ხ-შვილი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ დააჯარიმა 500 ლარით ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებისათვის. 2007 წლის 25 მარტს, დაახლოებით 14.30 საათზე, თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირის №29-თან, გ. ხ-შვილი, იმყოფებოდა რა ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ, შეამჩნიეს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა, რომლებმაც დააკავეს იგი ადმინისტრაციული წესით და გადაიყვანეს შს სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ნარკო-

ლოგის კაბინეტში, სადაც ჩატარებული ნარკოლოგიური შემოწმების №2175 დასკვნით მას დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის» მიღების ფაქტი.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა გ. ხ-შვილმა. თავის სააპელაციო საჩივარში მან მიუთითა, რომ წარდგენილ ბრალდებაში თავს ცნობს დამნაშავედ, ინანიებს ჩადენილს, სურს საპროცესო შეთანხმების გაფორმება და ითხოვა სასჯელად პირობითი მსჯავრის შეფარდება.

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს მხარეთა შორის არ მოხდა საპროცესო შეთანხმება, მსჯავრდებულმა დააზუსტა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა და ითხოვა სასჯელის შემსუბუქება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 23 ივლისის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 27 სექტემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა გ. ხ-შვილმა საკასაციო საჩივრით მიმართა უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. მან აღნიშნა, რომ აღიარებს და ინანიებს თავის მიერ ჩადენილ დანაშაულს და ითხოვს სასჯელის შემსუბუქებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა არ ეთანხმება მსჯავრდებულ გ. ხ-შვილის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას სასჯელის შემსუბუქების შესახებ, უსაფუძვლობის გამო:

საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა ჩატარებულია სრულყოფილად, საპროცესო კანონმდებლობის დაცვით. განაჩენით მსჯავრდებულისათვის შერაცხული ბრალდება არავითარ ეჭვს არ იწვევს. სააპელაციო სასამართლომ, სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მსჯავრდებულ გ. ხ-შვილის პასუხისმგებლობის როგორც შემამსუბუქებელი, ისე - დამამძიმებელი გარემოებები.

სასამართლო გამოძიებით მოპოვებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ: მსჯავრდებულის აღიარებითი ჩვენებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 29 სექტემბრის №4/9863-06 დადგენილებით, 2007 წლის 25 მარტის შს სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამმართველოს №2175 დასკვნითა და საქმის სხვა მასალებით გ. ხ-შვილის მიერ მასზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია და მას სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ საქმეში არ მოპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის I პუნქტის საფუძველზე, ასევე ამავე კანონის მე-3 მუხლის I პუნქტში მოცემული მითითების გათვალისწინებით (ამ კანონის საფუძველზე სასჯელისგან გათავისუფლებული პირები არ თავისუფლდებიან დამატებითი სასჯელისაგან), მსჯავრდებულ გ. ხ-შვილს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა - უნდა გაუნახვერდეს და მოსახდელად განესაზღვროს 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ გ. ხ-შვილს სსკ-ის 273-ე მუხლით, იმავე კოდექსის 67-ე მუხლის V ნაწილისა და 59-ე მუხლის გამოყენებით საბოლოო სასჯელად უნდა განესაზღვროს 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით დანიშნული ჯარიმა - 3000 ლარი - უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა», „დ» ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით, „ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის I, I I I პუნქტებით, მე-3 მუხლის I პუნქტით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 23 ივლისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

„ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის I პუნქტის საფუძველზე, ასევე ამავე კანონის მე-3 მუხლის I პუნქტში მოცემული მითითების გათვალისწინებით (ამ კანონის საფუძველზე სასჯელისგან გათავისუფლებული პირები არ თავისუფლდებიან დამატებითი სასჯელისაგან), მსჯავრდებულ გ. ხ-შვილს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 1 წლით

თავისუფლების აღკვეთა - გაუნახევრდეს და მოსახდელად განესაზღვროს 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ გ. ხ-შვილს სსკ-ის 273-ე მუხლით, იმავე კოდექსის 67-ე მუხლის V ნაწილისა და 59-ე მუხლის გამოყენებით საბოლოო სასჯელად განესაზღვროს 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში, ასევე დამატებითი სასჯელის სახით დანიშნული ჯარიმა - 3000 ლარი - დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნარკოტიკული საშუალების შეძენა, შენახვა, მოხმარება, გასაღება (დიდი ოდენობით)

განჩინება

№1444-აპ

1 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),

დ. სულაქველიძე,

ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ე. მ-იანის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 4 აგვისტოს განაჩენით ე. მ-იანი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა სსკ-ის 260-ე მუხლის მეხამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით - 13 წლით თავისუფლების აღკვეთა, 273-ე მუხლით - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 13 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. ე. მ-იანს სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 6 მაისიდან.

ე. მ-იანს «ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ» საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, ხოლო 15 წლის ვადით - საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის უფლება, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება; პასიური საარჩევნო უფლება; იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლება.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ ე. მ-იანის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის 2007 წლის 10 მაისის დადგენილების საფუძველზე ე. მ-იანს ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე, უკანონოდ მოხმარებისათვის ადმინისტრაციული სახდელის სახით დაეკისრა ჯარიმა 500 ლარის ოდენობით.

ე. მ-იანმა გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინა და შეინახა განსაკუთრებით დიდი ოდენობით - 26,253 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ და 2,295 გრამი ნარკოტიკული საშუალება „მეტადონი“.

2008 წლის 6 მაისს, 16.25 საათზე, საქართველოს შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა თბილისში, ... მასივის, ზემო პლატოს, №47-ე კორპუსის პირველ სადარბაზოში დააკავეს ე. მ-იანი, რომლის პირადი ჩხრევისას ამოიღეს განსაკუთრებით დიდი ოდენობით - 3,652 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, ხოლო მისი საცხოვრებელი ბინის ჩხრევისას - განსაკუთრებით დიდი ოდენობით 22,628 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ და 2,295 გრამი ნარკოტიკული საშუალება „მეტადონი“. იმავე დღეს ე. მ-იანი ნარკოტიკული შემოწმების მიზნით გადაიყვანეს შს სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ მთავარ სამმართველოში, სადაც ნარკოლოგიური შემოწმებისას დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტი.

აღნიშნულ განაჩენში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ოქტომბრის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ:

ე. მ-იანის მსჯავრდებიდან ამოირიცხა ნარკოტიკული ნივთიერების განსაკუთრებით დიდი ოდენობით გასაღება.

ე. მ-იანი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეხამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით - 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, 273-ე მუხლით - 6 თვით

თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 12 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

ე. მ-იანს «ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ» საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, ხოლო 15 წლის ვადით – საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის უფლება, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება; პასიური საარჩევნო უფლება; იარაღის დამზადების, შექმნის, შენახისა და ტარების უფლება.

მსჯავრდებული ე. მ-იანი საკასაციო საჩივრით ითხოვს სასჯელის შემსუბუქებას იმ საფუძველით, რომ აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, ჰყავს მეუღლე და მცირეწლოვანი შვილი, არის ოჯახის ერთადერთი მარჩენალი, პირველადაა სამართალში, ხასიათდება დადებითად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით: მსჯავრდებულის აღიარებითი ჩვენებით, მოწმეთა ჩვენებებით, ექსპერტიზების დასკვნებით, დაკავების ოქმით, პირადი, ბინის, ავტოფარების, ავტომანქანის ჩხრეკის ოქმებით, ამოღების ოქმებით, ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილებითა და საქმეში არსებული სხვა მასალებით ე. მ-იანის მიერ მასზე ბრალად შერაცხული დანაშაულების ჩადენა დადასტურებულია, რასაც სადავოდ არც საკასაციო საჩივარი ხდის.

რაც შეეხება მსჯავრდებულ ე. მ-იანის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას სასჯელის შემსუბუქების თაობაზე, პალატა ვერ გაიზიარებს და მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და მისი პიროვნების მახასიათებელი მონაცემების გათვალისწინებით, ე. მ-იანს დაუნიშნა ისეთი სასჯელი, რომლის შეცვლისა და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ «ამნისტის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულ ე. მ-იანს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი – 6 თვით თავისუფლების აღკვეთა – უნდა გაუნახევრდეს. მას საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, 273-ე მუხლით საბოლოოდ მოსახდელად უნდა განესაზღვროს 12 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტებით, «ამნისტის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ოქტომბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

«ამნისტის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულ ე. მ-იანს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი – 6 თვით თავისუფლების აღკვეთა – გაუნახევრდეს.

მსჯავრდებულ ე. მ-იანს სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, 273-ე მუხლით საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 12 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნარკოტიკული საშუალების მოხმარება

განჩინება

№1122-აპ

2 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),
დ. სულაქველიძე,
მ. ოშხარელი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ დ. თ-ძისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. ფ-ავას საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 19 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 2 მაისის განაჩენით დ. თ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით იმაში, რომ ჩაიდინა მცირე ოდენობით ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარება ასეთი ქმედების ჩადენისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ, რაც გამოიხატა შემდეგში:

დ. თ-ძეს 2005 წლის 5 სექტემბერს მსჯავრი დაედო საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლით და სასჯელის ზომად შეეფარდა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც შეეცვალა პირობით, 5 წლის გამოსაცდელი ვადით. 2007 წლის 28 თებერვალს, ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარებისათვის ბათუმის საქალაქო სასამართლოს დადგენილებით დ. თ-ძეს დაედო ადმინისტრაციული სახდელი - ჯარიმა 500 ლარის ოდენობით, რის შემდეგაც, 2007 წლის 13 ივლისს, ნარკოლოგიური შემოწმების დროს, კვლავ დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტი.

აღნიშნული ქმედებისათვის დ. თ-ძეს მიესაჯა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 4 წელი და საბოლოოდ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 6 თვის ვადით, რომლის მოხდა დაეწყო 2008 წლის 2 მაისიდან; მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩათვალა პატიმრობაში ყოფნის დრო - 2007 წლის 19 ივლისიდან 2007 წლის 21 ივლისამდე.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ადვოკატმა დ. ჩ-შვილმა და მოითხოვა დ. თ-ძის გამართლება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 19 ივნისის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორები - მსჯავრდებული დ. თ-ძე და მისი ინტერესების დამცველი, ადვოკატი ი. ფ-ავა საკასაციო საჩივარში აღნიშნავენ, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უკანონოა, რადგან საქმე განხილულია მნიშვნელოვანი სამართლებრივი და საპროცესო დარღვევებით; დ. თ-ძეს ნარკოტიკული საშუალება არ მოუხმარია, ამიტომ იგი ითხოვდა შემოწმებისა და ექსპერტიზის განმეორებით ჩატარებას; საქმეზე არ ჩატარებულა სრულყოფილი ნარკოლოგიური გამოკვლევა, თუმცა ჭეშმარიტების დასადგენად საჭირო იყო განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარება; სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ არ გაიზიარა დაცვის მხარის ეს მოთხოვნა, ასევე - მოთხოვნა საქმის სრული მოცულობით განხილვის თაობაზე და საქმე განიხილა ზეპირი მოსმენის გარეშე ისე, რომ არ მიუთითა ნორმასა და იმ მიზეზზე, თუ რატომ არ ატარებდა საქმის განხილვას სრული მოცულობით; მოცემულ შემთხვევაში დ. თ-ძეს სასჯელი შეეფარებული აქვს ნაკლებად მძიმე (სსკ-ის 273-ე მუხლი) და განსაკუთრებით მძიმე (სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილი) დანაშაულთა ჩადენისათვის, ამიტომ სააპელაციო სასამართლოს საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის უფლება კანონით არ ჰქონდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორები ითხოვენ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 19 ივნისის განაჩენის გაუქმებას და დ. თ-ძის სისხლის სამართლის საქმის დაბრუნებას იმავე სასამართლოში ხელახლა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

უსაფუძვლოა კასატორების მითითება, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მნიშვნელოვანი სამართლებრივი და საპროცესო დარღვევით. დ. თ-ძეს ბრალი ედებოდა სსკ-ის 273-ე მუხლით - ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენაში და სსსკ-ის 529-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო პალატა უფლებამოსილი იყო, საჩივარი განეხილა ზეპირი მოსმენის გარეშე.

რაც შეეხება გასაჩივრებული განაჩენის დასაბუთებულობას, საქმეში არსებული მასალები უდავოდ ადასტურებს მსჯავრდებულის მიერ მისთვის ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენას. ამასთან, ნარკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით, დ. თ-ძე დაავადებულია ნარკომანიით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განაჩენი დადგენილია სსკ-ის 496-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების მოთხოვნათა შესაბამისად, იგი დასაბუთებული და სამართლიანია და მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

ამასთან, «ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დ. თ-ძეს უნდა გაუნახევრდეს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც მთლიანად უნდა დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - თავისუფლების აღკვეთა 3 წლითა და 9 თვით.

პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ დ. თ-ძის და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. ფ-ავას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 19 ივნისის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ: «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დ. თ-ძეს გაუნახევრდეს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და განესაზღვროს 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც მთლიანად დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - თავისუფლების აღკვეთა 3 წლით და 9 თვით და საბოლოოდ მიესაჯოს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

დ. თ-ძეს სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალოს დაკავების დრო - 2007 წლის 19 ივლისიდან იმავე წლის 21 ივლისამდე - 3 დღე და სასჯელის მოხდა დაეწყოს 2008 წლის 2 მაისიდან.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნარკოტიკული საშუალების შექმნა, შენახვა

განჩინება

№1445-აპ

5 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ი. ტყემელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ლ. ფ-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ზ. რ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 23 ივნისის განაჩენით ლ. ფ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით - 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, 273-ე მუხლით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მას მიესაჯა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, გაუქმდა წინა განაჩენით ლ. ფ-შვილის მიმართ დანიშნული პირობითი მსჯავრი და სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დანიშნულ სასჯელს დაემატა ზემოაღნიშნული განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 1 წელი და საბოლოოდ ლ. ფ-შვილს სასჯელის ზომად განესაზღვრა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 4 აპრილიდან.

მასვე, «ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ» კანონის თანახმად, 5 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის უფლება, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში

საქმიანობის უფლება; პასიური საარჩევნო უფლება; იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლება.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ ლ. ფ-შვილის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 29 აგვისტოს განაჩენით ლ. ფ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 273-ე მუხლით და მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-64-ე მუხლების თანახმად, ჩაეთვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით.

მიუხედავად აღნიშნულისა, იგი არ დაადგა გამოსწორების გზას და გამოსაცდელი ვადის განმავლობაში კვლავ ჩაიდინა დანაშაული, კერძოდ: 2008 წლის 4 აპრილს ლ. ფ-შვილი ნათესავთან - ი. გ-ძესთან ერთად, „ოპელ-ვექტრას« მარკის ავტომანქანით, რომელსაც მართავდა ი. გ-ძე, იმყოფებოდა მარნეულის რაიონში, სადაც დაუდგენელ ვითარებაში უკანონოდ შეიძინა და მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკულ საშუალებას. აღნიშნული ნარკოტიკული საშუალებიდან მან ნაწილი შეინახა პირადად, ხოლო ნაწილი, ი. გ-ძესთან შეუთანხმებლად, მოათავსა სიგარეტ „კომეტის« კოლოფში და შეინახა მანქანის მარჯვენა სავარძლის ქვეშ არსებული ხალიჩის ქვემოთ. მოსამართლის ბრძანების თანახმად, 2008 წლის 4 აპრილს თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს IV განყოფილების თანამშრომლებმა თბილისში, ორთაჭალის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე, ჩაატარეს ლ. ფ-შვილის პირადი ჩხრეკა, რა დროსაც მისი ქურთუკის გარეთა, მარჯვენა ჯიბიდან ამოიღეს ე.წ. ერთ „ბაზად« დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი«, საერთო წონით 0,3267 გრამი, რომელშიც ნარკოტიკული საშუალების სუფთა წონა, შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ექსპერტიზის №381/სქ დასკვნის მიხედვით, შეადგენს 0,2450 გრამს, ხოლო გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ი. გ-ძის „ოპელ-ვექტრას« მარკის ავტომანქანიდან, მარჯვენა სავარძლის ხალიჩის ქვემოთ ამოიღეს ე.წ. ხუთ „ბაზად« დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი«, საერთო წონით 3,3484 გრამი, რომელშიც ნარკოტიკული საშუალების სუფთა წონა, საქართველოს შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ექსპერტიზის №381/სქ დასკვნის მიხედვით, შეადგენს 2,4443 გრამს.

2008 წლის 4 აპრილს ლ. ფ-შვილი გადაიყვანეს ნარკოლოგიური შემოწმებისთვის. საქართველოს შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ექსპერტიზის №3211142 დასკვნის მიხედვით, მას კლინიკურად დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალება, ოპიუმის ჯგუფის - „ბუპრენორფინის« მოხმარების ფაქტი.

აღნიშნულ განაჩენში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 ოქტომბრის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ:

ლ. ფ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით - 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, 273-ე მუხლით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, გაუქმდა წინა განაჩენით ლ. ფ-შვილის მიმართ დანიშნული პირობითი მსჯავრი და დანიშნულ სასჯელს დაემატა ზემოაღნიშნული განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 1 წელი და საბოლოოდ, სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, ლ. ფ-შვილს სასჯელის ზომად განესაზღვრა 14 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მასვე «ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ» საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის უფლება, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება; პასიური საარჩევნო უფლება; იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლება.

მსჯავრდებულ ლ. ფ-შვილის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ზ. რ-შვილი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ: საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულში - ლ. ფ-შვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას. კასატორის მოსაზრებით, განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი; საქმე განხილულია საპროცესო ნორმების უხეში დარღვევით; საქმეში არ მოიპოვება უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებენ ლ. ფ-შვილის მიერ სსკ-ის 260-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა ჩატარებულია სრულყოფილად და საპროცესო კანონმდებლობის დაცვით. გამოკვლევულ მტკიცებულებებს მიეცა სწორი სამართლებრივი შეფასება.

საქმეზე შეკრებილი და სასამართლოს მიერ გამოკვლეული მტკიცებულებებით, კერძოდ: მოწმეების - რ. ჩ-ელის, ზ. მ-შვილის, ვ. პ-შვილის, ი. გ-ძის ჩვენებებით, საგამომიებო მოქმედებათა ოქმებით, ქიმიური ექსპერტიზის დასკვნითა და საქმეში არსებული სხვა მასალებით უდავოდ დასტურდება ლ. ფ-შვილის მიერ სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა. პალატა ვერ გაიზიარებს საკასაციო საჩივრის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ლ. ფ-შვილს ზემოაღნიშნული დანაშაული არ ჩაუდენია, რადგან ასეთი დასკვნისთვის საქმის მასალებში საფუძველი არ მოიპოვება.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძველად დაედება განაჩენის გაუქმებას.

საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით ლ. ფ-შვილის მიერ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა დადასტურებულია, რასაც სადავოდ არც საკასაციო საჩივარი ხდის.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ «ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულ ლ. ფ-შვილს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა - უნდა გაუნახევრდეს. მას საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, 273-ე მუხლით უნდა მიესაჯოს 12 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 1 წელი და საბოლოოდ მოსახდელად უნდა განესაზღვროს 13 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტებით, «ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 ოქტომბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

«ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულ ლ. ფ-შვილს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა - გაუნახევრდეს.

მსჯავრდებულ ლ. ფ-შვილს სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, 273-ე მუხლით მიესაჯოს 12 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 1 წელი და საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 13 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება

განჩინება

№1464-აპ

5 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშარელი (თავმჯდომარე),

დ. სულაქველიძე,

ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. ც-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 23 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 27 მაისის განაჩენით ა. ც-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით და მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მეხუთე ნაწილის საფუძველზე გაუქმდა წინა განაჩენით დადგენილი პირობითი მსჯავრი - 5 წელი. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და ა. ც-ძეს საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩათვალა 2006 წლის 31 ივლისიდან

2007 წლის 12 თებერვლამდე პატიმრობაში ყოფნის დრო და საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვრა 5 წლით, 5 თვითა და 18 დღით თავისუფლების აღკვეთა.

ა. ც-ძეს «ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ» საქართველოს კანონის თანახმად, 3 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის უფლება, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება; პასიური საარჩევნო უფლება; იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლება.

ა. ც-ძეს სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 26 იანვრიდან.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ ა. ც-ძის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2007 წლის 24 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დადგენილებით ა. ც-ძე ნარკოტიკული საშუალების უკანონო მოხმარებისათვის დაჯარიმდა 500 ლარით.

აღნიშნულის შემდეგ ა. ც-ძემ კვლავ ჩაიდინა ანალოგიური ქმედება, კერძოდ:

მან გამოიძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში ექიმის დანიშნულების გარეშე, უკანონოდ მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება. 2007 წლის 11 დეკემბერს, დაახლოებით 21.20 საათზე, ა. ც-ძე იმყოფებოდა რა თბილისში, წინამძღვრიშვილის ქუჩაზე და იწვევდა ექვს, რომ, სავარაუდოდ, იმყოფებოდა ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ, დააკავეს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა და შემოწმების მიზნით გადაიყვანეს საქართველოს შს სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამმართველოს ნარკოლოგიურ კაბინეტში, სადაც ლაბორატორიული გამოკვლევის №34110366 დასკვნის შესაბამისად, დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალებების: „ტეტრაჰიდროკანაბინოლის«, „ბუპრენორფინისა« და „მეტამფეტამინის« მიღების ფაქტი.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 23 ოქტომბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული ა. ც-ძე საკასაციო საჩივრით ითხოვს სასჯელის შემსუბუქებას იმ საფუძველით, რომ აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს; არის ახალი დაოჯახებული.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, მსჯავრდებულის აღიარებითი ჩვენებით, ნარკოლოგიური შემოწმების დასკვნით, ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილებითა და საქმეში არსებული სხვა მასალებით ა. ც-ძის მიერ მასზე ბრალად შერაცხული დანაშაულების ჩადენა დადასტურებულია, რასაც სადავოდ არც საკასაციო საჩივარი ხდის.

რაც შეეხება კასატორის მოთხოვნას სასჯელის შემსუბუქების თაობაზე, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს და თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და მისი პიროვნების მახასიათებელი მონაცემების გათვალისწინებით, ა. ც-ძეს დაუნიშნა ისეთი სასჯელი, რომლის შეცვლისა და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ «ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულ ა. ც-ძეს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა – უნდა გაუნახევრდეს და მიესაჯოს 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც უნდა დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელი – 5 წელი და მიესაჯოს 5 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მასვე სასჯელის მოხდის ვადაში უნდა ჩათვალოს 2006 წლის 31 ივლისიდან 2007 წლის 12 თებერვლამდე პატიმრობაში ყოფნის დრო და საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 5 წლითა და 18 დღით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტებით, «ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 23 ოქტომბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

«ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულ ა. ც-ძეს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა – გაუნახევრდეს და მიესაჯოს 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელი – 5 წელი და მიესაჯოს 5 წლითა და

6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩათვალოს 2006 წლის 31 ივლისიდან 2007 წლის 12 თებერვლამდე პატიმრობაში ყოფნის დრო და საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 4 წლით, 11 თვითა და 18 დღით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნარკოტიკული საშუალების მოხმარება

განჩინება

№1461-აპ

8 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),

დ. სულაქველიძე,

პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ნ. ს-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 23 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 6 აგვისტოს განაჩენით ნ. ს-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით იმაში, რომ ჩაიდინა ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე, უკანონოდ მოხმარება, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ, რაც გამოიხატა შემდეგში:

გორის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 26 ნოემბრის დადგენილებით ნ. ს-შვილს ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე, უკანონოდ მოხმარებისათვის დაედო ადმინისტრაციული სახდელი და დაჯარიმდა 500 ლარით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 2 ოქტომბრის განაჩენით, დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება პროკურორსა და განსასჯელ ნ. ს-შვილს შორის. ეს უკანასკნელი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა», „ბ» ქვეპუნქტებით და ამავე კოდექსის 55-ე მუხლის გამოყენებით მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალა პირობით, 5 წლის გამოსაცდელი ვადით.

მიუხედავად აღნიშნულისა, ნ. ს-შვილი არ დაადგა გამოსწორების გზას და ექიმის დანიშნულების გარეშე კვლავ მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება, კერძოდ: 2007 წლის 21 ნოემბერს შიდა ქართლის საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს ნ. ს-შვილი, რომელსაც ნარკოლოგიურ ცენტრში გამოკვლევისას კლინიკურად დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტი.

აღნიშნული ქმედებისათვის ნ. ს-შვილს მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 4 წელი, 8 თვე, 5 დღე და საბოლოოდ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის, 8 თვისა და 5 დღის ვადით, რომლის მოხდა დაეწყო 2008 წლის 6 აგვისტოდან; მასვე სასჯელის მოხდაში ჩათვალა პატიმრობაში ყოფნის დრო - 2007 წლის 21 ნოემბრიდან 2007 წლის 22 ნოემბრამდე და და 2008 წლის 16 ივნისიდან 2008 წლის 6 აგვისტომდე. ნ. ს-შვილს 3 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო საქმიანობის, საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო დაწესებულებაში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ნ. ს-შვილმა და მოითხოვა გამართლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 23 ოქტომბრის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი - მსჯავრდებული ნ. ს-შვილი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონოა და უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დაკავებისა და ნარკოლოგიურ დისპანსერში შემოწმების მიზნით მიყვანისას საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, ამიტომ მანაც შეაგინა. ამის გამო ნარკოლოგმა ყოველგვარი ანალიზისა და ბიოლოგიური მასალის გამოუყენებლად დაუსვა მას დიაგნოზი, რომ, თითქოსდა, იმყოფებოდა ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ; გაუგებარია, ანალიზისა და ბიოლოგიური მასალის გარეშე როგორ დადგინდა, რომ ნ. ს-შვილი იმყოფებოდა ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ; გამომძიებელმა და ექსპერტმა არ ჩათვალეს საჭიროდ დაკავებული საგან ბიოლოგიური მასალის აღება, თავად ამ დაკავებულის თხოვნის მიუხედავად; მითითებული

გარემოება ადასტურებს იმას, რომ წინასწარი გამოძიება ჩაატარა დაინტერესებულმა პირმა, ხოლო ორივე ინსტანციის სასამართლომ ამაზე „თვალი დახუჭა« და კანონის დარღვევით დაადგინა განაჩენი.

კასატორის განმარტებით, მას არ შეატყობინეს აღკვეთის ღონისძიების საკითხთან დაკავშირებით სასამართლო სხდომის დღე, ამიტომ ვერ დაესწრო პროცესს, რის შესახებაც სხდომის ოქმშია აღნიშნული; ასეთ შემთხვევაში სასამართლო პროცესი უნდა გადადებულიყო; ესეც ადასტურებს გამომძიებლისა და ექსპერტის დაინტერესებას, რაც შემდეგ დაფარა სასამართლომ. გარდა ამისა, მსჯავრდებული აღნიშნავს, რომ არის 50 წელს გადაცილებული; დიდი ხანია, გაუქრა ნარკოტიკისადმი მიდრეკილება; ჰყავს უმუშევარი მეუღლე და 2 მცირეწლოვანი ვაჟიშვილი (12 და 8 წლის), რის გამოც ითხოვს ორივე ინსტანციის სასამართლოს განაჩენების გაუქმებასა და საქმის შეწყვეტას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განაჩენი დადგენილია სსსკ-ის 496-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების მოთხოვნათა შესაბამისად, იგი ეყრდნობა საქმეში არსებულ უტყუარ მტკიცებულებებს, რაც უდავოდ ადასტურებს ნ. ს-შვილის მიერ სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას.

ნ. ს-შვილმა სასამართლოს განუმარტა, რომ არ ჰქონდა მოხმარებული ნარკოტიკული საშუალება და იმყოფებოდა ალკოჰოლური სასმელის ზემოქმედების ქვეშ, იყო «უაზროდ მთვრალი» და მიუხედავად წინადადებისა, ფიზიკურად ვერ შეძლო ბიოლოგიური მასალის ჩაბარება.

მოწმის სახით დაკითხულმა, საპატრულო პოლიციის ინსპექტორმა გ. გელაშვილმა მიუთითა, რომ ალკოტესტზე შემოწმებისას ნ. ს-შვილს არ დაუდგინდა ალკოჰოლის მიღების ფაქტი და მხოლოდ ამის შემდეგ იგი შემოწმდა ნარკოლოგიურ ცენტრში.

ექსპერტის დასკვნით ირკვევა, რომ ნ. ს-შვილი კლინიკურად იმყოფებოდა ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ, ხოლო გამოსაკვლევადა ბიოლოგიური მასალის აღება ვერ/არ მოხერხდა.

საგულისხმობა, რომ ნარკოლოგიური შემოწმება დაახლოებით ერთ საათს გაგრძელდა, რა დროსაც, თავად მსჯავრდებულის განცხადებით, მან ვერ მოახერხა ბიოლოგიური მასალის ჩაბარება.

სასამართლოში დაიკითხა აღნიშნული დასკვნის ავტორი გ. ბ-მე, რომელმაც განმარტა, რომ ნ. ს-შვილი თავს იკავებდა ბიოლოგიური მასალის ჩაბარებისაგან, რის გამოც იგი შემოწმდა კლინიკურად და დადგინდა, რომ იმყოფებოდა ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ. ექსპერტმა ნათლად მიუთითა, რომ ალკოჰოლისა და ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანები ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდებიან და ამ კუთხით შეცდომის დაშვება გამორიცხულია.

მოწმის სახით დაკითხულმა გამომძიებელმა ნიკოლოზ გრიგალაშვილმა სასამართლოში განაცხადა, რომ ნ. ს-შვილის მხრიდან დამატებით შემოწმების ან ექსპერტიზის დანიშვნის მოთხოვნას ადგილი არ ჰქონია.

აღნიშნული ჩვენება დასტურდება საქმეში არსებული მასალებით, კერძოდ, არ მოიპოვება ნ. ს-შვილის მიერ დამატებით შემოწმების ან ექსპერტიზის ჩატარების მოთხოვნის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი საქმის წინასწარი გამოძიების დროს დაიკითხა ექვმიტანილის და ბრალდებულის სახითაც.

კასატორი აღნიშნავს, რომ აღკვეთის ღონისძიების უფრო მკაცრით შეცვლის შუამდგომლობასთან დაკავშირებით დანიშნული სასამართლო სხდომის შესახებ მას არ აცნობეს და, შესაბამისად, არ მიეცა მოსამართლის ბრძანების გასაჩივრების შესაძლებლობა. ეს კი ადასტურებს «გამომძიებლისა და ექსპერტის დაინტერესებას».

პალატა აღნიშნავს, რომ აღნიშნული მოტივი უსაფუძვლოა, რადგან შუამდგომლობის განხილვაში მონაწილეობდა ნ. ს-შვილის ადვოკატი, მოსამართლის ბრძანება არ გასაჩივრებულა და ძებნილის დაკავება მხოლოდ ექვსი თვის შემდეგ მოხერხდა.

«ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ნ. ს-შვილს უნდა გაუნახევრდეს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად, რადგან სამართლიანია, ხოლო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები არსებითად არ დარღვეულა.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ნ. ს-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 23 ოქტომბრის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ: «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ნ. ს-შვილს გაუნახვერდეს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა და განესაზღვროს 6 თვით თავისუფლების აღკვეთა;

გასაჩივრებელი განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად და ნ. ს-შვილს საბოლოოდ მიესაჯოს 5 წლით, 2 თვით და 5 დღით თავისუფლების აღკვეთა.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნარკოტიკული საშუალების მოხმარება

განჩინება

№1457-აპ

9 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),

დ. სულაქველიძე,

ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ კ. გ-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 20 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 15 ივლისის განაჩენით კ. გ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 273-ე მუხლით (2007 წლის 12 სექტემბრის ეპიზოდში) და მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, დანიშნულ სასჯელს დაემატა 2007 წლის 18 ოქტომბრის განაჩენით დანიშნული სასჯელი - 6 წელი და მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც გამოაკლდა 2006 წლის 7 იანვრიდან იმავე წლის 7 აპრილამდე პატიმრობაში ყოფნის დრო და საბოლოოდ კ. გ-ძეს სასჯელის ზომად განესაზღვრა 6 წლით, 6 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა.

მასვე სსკ-ის 42-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით.

კ. გ-ძეს სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 30 აპრილიდან. მასვე პატიმრობის ვადაში ჩათვალა დაკავებაში ყოფნის დრო - 2007 წლის 12 სექტემბრიდან 2007 წლის 13 სექტემბრამდე.

მსჯავრდებულ კ. გ-ძის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება - გირაო გაუქმდა და გირაოს სახით შეტანილი თანხა სრულად უნდა დაუბრუნდეს გირაოს შემტან პირს.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ კ. გ-ძის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 1 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დადგენილებით კ. გ-ძე ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარებისათვის დაჯარიმდა 500 ლარით.

მიუხედავად ამისა, იგი არ დაადგა გამოსწორების გზას და ექიმის დანიშნულების გარეშე კვლავ მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება, კერძოდ: 2007 წლის 12 სექტემბერს, კ. გ-ძე ადმინისტრაციული წესით დააკავეს თბილისში, გლდანი-ნაძალადევის VIII განყოფილების თანამშრომლებმა. შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ მთავარი სამმართველოს ნარკოლოგიური გამოკვლევის №3215456 დასკვნით მას კლინიკურად გამოუვლინდა ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედება.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 20 ოქტომბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულ კ. გ-ძე საკასაციო საჩივრით ითხოვს სასჯელის შემსუბუქებას იმ საფუძველით, რომ აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, მსჯავრდებულის აღიარებითი ჩვენებით, მოწმეთა ჩვენებებით, ადმინისტრაციული დაკავების ოქმით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე შემოწმების შესახებ მოთხოვნით, საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს დასკვნით, ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილებით კ. გ-მის მიერ მასზე ბრალად შერაცხული დანაშაულის ჩადენა დადასტურებულია, რასაც სადავოდ არც საკასაციო საჩივარი ხდის.

რაც შეეხება კასატორის მოთხოვნას სასჯელის შემსუბუქების თაობაზე, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს და მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და მისი პიროვნების მახასიათებელი მონაცემების გათვალისწინებით, კ. გ-მეს დაუნიშნა ისეთი სასჯელი, რომლის შეცვლისა და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ «ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულ კ. გ-მეს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა - უნდა გაუნახევრდეს, რასაც გამოაკლდეს კ. გ-მის პატიმრობაში ყოფნის დრო და სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 6 წლითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტებით, «ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტით, 568-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 20 ოქტომბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

«ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულ კ. გ-მეს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა - გაუნახევრდეს, რასაც გამოაკლდეს კ. გ-მის პატიმრობაში ყოფნის დრო და მსჯავრდებულ კ. გ-მეს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 6 წლითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყოს 2008 წლის 30 აპრილიდან. მასვე პატიმრობის ვადაში ჩათვალოს დაკავებაში ყოფნის დრო - 2007 წლის 12 სექტემბრიდან 2007 წლის 13 სექტემბრამდე.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნარკოტიკული საშუალების შექმნა, გასაღება

განჩინება

№1467-აპ

9 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),

დ. სულაქველიძე,

ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. მ-შვილის ინტერესების დამცველი ადვოკატების - ა. კ-მისა და თ. ა-იანის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 23 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 15 აპრილის განაჩენით გ. მ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით - 15 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 273-ე მუხლით - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მას მიესაჯა 16 წლით თავისუფლების აღკვეთა. სსკ-ის 67-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, გაუქმდა გ. მ-შვილის მიმართ წინა განაჩენით დადგენილი პირობითი მსჯავრი და სსკ-ის 59-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს მთლიანად დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 1 წელი და გ. მ-შვილს საბოლოოდ სასჯელის ზომად

განესაზღვრა 17 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 20 აგვისტოდან.

გ. მ-შვილს «ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ» კანონის თანახმად, 5 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საადვოკატო, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის უფლება, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება; პასიური საარჩევნო უფლება; 15 წლის ვადით - საექიმო საქმიანობის უფლება, იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლება.

საქმეზე არსებული ნივთმტკიცება - გ. მ-შვილის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოღებული 14 ოვალური ფორმის თეთრი აბი, ამოტვიფრული წარწერით «B8», რომელიც ინახება შს სამინისტროს სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა განადგურდეს.

საქმეზე არსებული ნივთმტკიცება - გ. მ-შვილის პირადი ჩხრეკისას ამოღებული თანხა - 405 ლარი, ასევე, მისი ავტომანქანის ჩხრეკისას ამოღებული თანხა - 500 ლარი უნდა მიექცეს სახელმწიფო საკუთრებაში საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

განაჩენის მიხედვით, გ. მ-შვილის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 25 სექტემბერს თბილისის საპატრულო პოლიციაში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის №08062457 საქმეზე გ. მ-შვილის მიმართ, დანაშაული, გათვალისწინებული სსკ-ის 273-ე მუხლით. 2006 წლის 14 ოქტომბერს გ. მ-შვილის ბრალდების საქმე ქვემდებარეობით, არსებითად განსახილველად წარმართა თბილისის საქალაქო სასამართლოში.

მიუხედავად აღნიშნულისა, გ. მ-შვილმა გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინა ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინი«, რომელსაც უკანონოდ ინახავდა და ასაღებდა.

2007 წლის 20 აგვისტოს, დაახლოებით 17.20 საათზე, თბილისში, შეშელიძის ქუჩაზე მდებარე რესტორან „თიშების« მიმდებარე ტერიტორიაზე, გ. მ-შვილმა ვ. ხ-მეზე უკანონოდ გაასაღა ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინი«, წონით 0, 0078 გრამი, რა დროსაც შემთხვევის ადგილზე დააკავეს თბილისის მთავარი სამმართველოს დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველოს თანამშრომლებმა და პირადი ჩხრეკისას გ. მ-შვილის ლურჯი ჯინსის შარვლის წინა, მარჯვენა ჯიბიდან ამოიღეს თეთრი ფერის, ოვალური ფორმის 1 აბი წარწერით „B8«, რომელშიც, სასამართლო-ქიმიური ექსპერტიზის №2005/სქ დასკვნის თანახმად, ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის« შემცველობაა 0, 008 გრამი. იმავე დღეს გ. მ-შვილი ნარკოტიკულ თრობაზე შესამოწმებლად გადაიყვანეს საქართველოს შსს საქსპერტო-კრიმინალისტიკურ მთავარ სამმართველოში, სადაც ლაბორატორიული გამოკვლევის №3214937 დასკვნით დაუდგინდა „ოპიუმის« ჯგუფის ნარკოტიკის - „ბუპრენორფინის« მიღების ფაქტი.

იმავე დღეს თბილისის მთავარი სამმართველოს დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველოს თანამშრომლებმა გ. მ-შვილის კუთვნილი ბინის ჩხრეკისას, მდებარე თბილისში, ... ბ. 76-ში, საძინებელ ოთახში, საწოლის გვერდით მდებარე მუყაოს ყუთიდან ამოიღეს მობილური ტელეფონის შალითაში გახვეული თეთრი ფერის 14 აბი წარწერით „B8«, რომელშიც, სასამართლო-ქიმიური ექსპერტიზის №2010/სქ დასკვნის თანახმად, ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის« შემცველობაა 0, 112 გრამი. ამდენად, გ. მ-შვილის მიერ ვ. ხ-მეზე გასაღებული, პირადი ჩხრეკისას და მისი საცხოვრებელი ბინიდან ამოღებული ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის« საერთო წონა შეადგენს 0, 1278 გრამს.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 23 ოქტომბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულ გ. მ-შვილის ინტერესების დამცველი ადვოკატები - ა. კ-ძე და თ. ა-იანი საკასაციო საჩივრით ითხოვენ განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ: გ. მ-შვილის გამართლებას სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში, ხოლო 273-ე მუხლით - სასჯელის შემსუბუქებას. კასატორების მოსაზრებით, გასაჩივრებული განაჩენი უკანონოა 260-ე მუხლით დამნაშავედ ცნობის ნაწილში; საქმეში არსებული მასალებითა და სასამართლოში საქმის განხილვისას არ დადგენილა გ. მ-შვილის მიერ ნარკოტიკის გასაღების ფაქტი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებული დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველოს კრიმინალური პოლიციის განყოფილების ინსპექტორ-გამომძიებლის, პოლიციის ლეიტენანტ ა. კ-ძის 2007 წლის 20 აგვისტოს პატაკით ირკვევა, რომ მის ხელთ არსებული ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, მის სამოქმედო ტერიტორიაზე, თბილისში, დ. აღმაშენებლის გამზირის №147-ში მცხოვრები ვ. ხ-მე თავის მეგობარ ვინმე გ.სთან ერთად ეწევა ნარკოტიკული საშუალების - «სუბოტექსის» შექმნა-რეალიზაციას.

მოწმე ა. კ-ძის ჩვენებით, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე მისთვის ცნობილი გახდა, რომ ვ. ხ-მე, რომელიც იყო ნარკოტიკული საშუალების ხშირი მომხმარებელი, აღნიშნულ ნივთიერებას

ყიდულობდა ვინმე გ.საგან. ა. კ-მე პოლიციის სხვა თანამშრომლებთან ერთად 2007 წლის 20 აგვისტოს ვ. ხ-მეს ფარულად უთვალთვალებდა, რა დროსაც ვ. ხ-მე შეხვდა გ. მ-შვილს. ა. კ-მემ დაინახა, როგორ გადასცა გარკვეული რაოდენობის თანხა ვ. ხ-მემ გ. მ-შვილს, ხოლო გ. მ-შვილმა დათვალა თანხა და ვ. ხ-მეს გადასცა ფოლგაში გახვეული ნივთიერება. ამ დროს პოლიციის თანამშრომლებმა ვ. ხ-მე და გ. მ-შვილი დააკავეს. მოწმის ჩვენებით, როდესაც ვ. ხ-მემ შენიშნა მის დასაკავებლად მისული პოლიციელები, გადააგდო გ. მ-შვილის მიერ მისთვის გადაცემული ნივთიერება.

ვ. ხ-მისა და გ. მ-შვილის შეხვედრის, ვ. ხ-მისაგან გ. მ-შვილის მიერ თანხის მიღების და სანაცვლოდ რაღაც ნივთის გადაცემის ფაქტი ასევე დაადასტურეს მოწმის სახით დაკითხულმა პირებმა - ზ. ყ-ელმა და ტ. მეზერიშვილმა.

ქიმიური ექსპერტიზის №2005\სქ, №2010\სქ და №2006\სქ დასკვნებით დადგენილია, რომ გ. მ-შვილის პირადი ჩხრეკისას და ბინის ჩხრეკისას ამოღებული 15 ცალი თეთრი ფერის, ოვალური ფორმის აბი, წარწერით «B8», წარმოადგენს «ბუპრენორფინის» შემცველ აბებს, რომელშიც ნარკოტიკული ნივთიერება «ბუპრენორფინის» შემცველობაა 0,12 გრ, ხოლო ვ. ხ-მის პირადი ჩხრეკისას ამოღებული აბის ნატეხები წარმოადგენს «ბუპრენორფინის» შემცველი აბის ნატეხებს, რომელშიც ნარკოტიკული ნივთიერება «ბუპრენორფინის» შემცველობაა - 0,0078 გრამი.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განაჩენი გ. მ-შვილის მიმართ დადგენილია სსსკ-ის 496-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების მოთხოვნათა შესაბამისად, იგი ეყრდნობა საქმეში არსებულ უტყუარ მტკიცებულებებს, რაც უდავოდ ადასტურებს მის მიერ სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენასაც. ამასთან, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები არ დარღვეულა, ხოლო მატერიალური კანონი სწორადაა გამოყენებული.

რაც შეეხება კასატორის მოთხოვნას სასჯელის შემსუბუქების თაობაზე, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს და თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და მისი პიროვნების მახასიათებელი მონაცემების გათვალისწინებით, გ. მ-შვილს დაუნიშნა სამართლიანი სასჯელი.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ «ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულ გ. მ-შვილს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა - უნდა გაუნახევრდეს. მას საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, 273-ე მუხლით უნდა მიესაჯოს 15 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც უნდა დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 1 წელი და გ. მ-შვილს საბოლოოდ მოსახდელად უნდა განესაზღვროს 16 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტებით, «ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 23 ოქტომბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

«ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულ გ. მ-შვილს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა - გაუნახევრდეს.

მსჯავრდებულ გ. მ-შვილს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, 273-ე მუხლით მიესაჯოს 15 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 1 წელი და გ. მ-შვილს საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 16 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნარკოტიკული საშუალების შეძენა, შენახვა, მოხმარება, გასაღება

განჩინება

№1489-აპ

15 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),

**დ. სულაქველიძე,
ი. ტყემელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულების - ნ. უ-ძისა და ა. უ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. გ-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 13 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 30 ივლისის განაჩენით:

ა. უ-ძე, ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 19,260-ე მუხლის I I I ნაწილის «ა» და «ბ» ქვეპუნქტებით - 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, 273-ე მუხლით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა მთლიანად და დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის სახედ განესაზღვრა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 5 ივლისის განაჩენით ა. უ-ძის მიმართ დანიშნული პირობითი მსჯავრი და დანაშაულთა ერთობლიობით დანიშნულ სასჯელს, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის I I ნაწილის თანახმად, დაემატა ზემოაღნიშნული განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 1 წელი და საბოლოოდ ა. უ-ძეს განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის სახედ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 11 წლის ვადით. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 23 თებერვლიდან.

ნ. უ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის მე-19,260-ე მუხლის I I I ნაწილის «ა» და «ბ» ქვეპუნქტებით და მიესაჯა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 10 მარტიდან.

მსჯავრდებულებს - ნ. უ-ძესა და ა. უ-ძეს 5 წლით ჩამოერთვათ სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, 15 წლის ვადით საექიმო, საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებაში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლება.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულების - ნ. უ-ძისა და ა. უ-ძის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 5 ივლისის განაჩენით ა. უ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით და სასჯელის სახით განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების თანახმად, ჩათვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით. მასვე დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით. ა. უ-ძემ, დედამისთან - ნ. უ-ძესთან წინასწარი შეთანხმებით, განიზრახა, უკანონოდ, შემდგომი რეალიზაციის მიზნით შეეძინა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება «სუბოტექსის» აბები. დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ნ. უ-ძე დაუკავშირდა საფრანგეთში დროებით მცხოვრებ თ. ჟ-ნიას და სთხოვა გამოეგზავნა მისთვის განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება «სუბოტექსის» აბები, რომლის რეალიზაციასაც ის მოახდენდა თბილისში. თ. ჟ-ნიას შექმნილი ჰქონდა ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი, რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა საფრანგეთიდან. «სუბოტექსის» აბების განსაკუთრებით დიდ ოდენობას იგი თბილისში აგზავნიდა სხვადასხვა გზით. მიღებულ ნარკოტიკულ საშუალებებს დანაშაულებრივი ჯგუფის წევრი კ. ბ-ავა ათავსებდა სხვადასხვა, წინასწარ მონიშნულ სამალავებში, საიდანაც დანაშაულებრივი ჯგუფის სხვა წევრები: ტ. ტ-ძე, ი. ჯ-ძე, კ. ნ-უა, ნ. უ-ძე და გ. ბ-ძე იღებდნენ და შემდეგ ახდენდნენ მის რეალიზაციას. აღებულ თანხას ზემოთ ჩამოთვლილი პირები სდებდნენ იმავე სამალავებში, საიდანაც კ. ბ-ავა იღებდა და ბანკის საშუალებით ურიცხავდა თ. ჟ-ნიას საფრანგეთში. თ. ჟ-ნიამ თანხმობა განუცხადა ნ. უ-ძეს ნარკოტიკების გადმოგზავნაზე და შეუთანხმდა, რომ ტელეფონით უახლოეს მომავალში შეატყობინებდა, თუ როდის და რა რაოდენობის ნარკოტიკებს მიიღებდა იგი შემდგომი რეალიზაციისათვის.

2008 წლის 23 თებერვალს, სადამოს საათებში, თ. ჟ-ნიამ დაუკავშირდა ნ. უ-ძეს და ტელეფონით შეატყობინა, რომ მისულის თბილისში, ... დასახლების, ... I სართულზე არსებულ ლიფტთან, სადაც მიფარებული იქნებოდა ხის ფანერი, რომლის უკანაც იდებოდა «სუბოტექსის» 400 აბი პაკეტში, რომელსაც ექნებოდა წარწერა «60». ნ. უ-ძემ, თავის მხრივ, ნარკოტიკული საშუალების ადგილმდებარეობის შესახებ, მისამართის მითითებით, მოკლე ტექსტური შეტყობინებით აცნობა თავის შვილს - ა. უ-ძეს. შეტყობინების შემდეგ, დაახლოებით 18.20 საათზე, ეს უკანასკნელი მივიდა აღნიშნულ სამალავთან, საიდანაც ამოიღო პაკეტი (შიდა კონტროლირებადი მიწოდების შედეგად დამზადებული ბუტაფორია), რა დროსაც ის დააკავს ძველი თბილისის შს სამმართველოს თანამშრომლებმა.

დაკავებული ა. უ-მე ნარკოლოგიური შემოწმების მიზნით იმავე დღეს გადაიყვანეს შს სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ნარკოლოგიურ კაბინეტში, რომლის გამოკვლევის დასკვნის თანახმად, ა. უ-მეს დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალება «მარიხუანას» მიღების ფაქტი. მოგვიანებით გატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 2008 წლის 10 მარტს, ასევე დააკავეს ნ. უ-მე.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 13 ნოემბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულების - ნ. უ-მისა და ა. უ-მის ინტერესების დამცველი ადვოკატი გ. გ-მე საკასაციო საჩივრით ითხოვს მსჯავრდებულების - ა. და ნ. უ-მეების მიმართ გამოტანილი განაჩენის გაუქმებას საქართველოს სსკ-ის მე-19,260-ე მუხლის III ნაწილის «ა» და «ბ» ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდების ნაწილში და სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტას, ხოლო მსჯავრდებულ ა. უ-მის მიმართ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით წარდგენილი ბრალდების ნაწილში - სასჯელის შემსუბუქებას.

კასატორის მოსაზრებით, მსჯავრდებულები - ნ. და ა. უ-მეები საქართველოს სსკ-ის 19-260-ე მუხლის III ნაწილის «ა» და «ბ» ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში არიან უდანაშაულონი; სააპელაციო სასამართლოს განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი; ბრალდება მთლიანად აგებულია ვარაუდებზე; საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებს არ გამოუყენებიათ კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინათ; დაცვის მხარეს არ მიეცა მტკიცებულებათა გამოკვლევის საშუალება. ა. უ-მე არის 21 წლის, წარმატებული სტუდენტი; ნ. უ-მე აფხაზეთის ომის მონაწილეა, მე-2 ჯგუფის ინვალიდი, ვ. გორგასლის მედლის კავალერი, სამხედრო ექიმი, რომელიც ემსახურებოდა თავის ქვეყანას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით: მოწმეების - ბ. ა-ურის, ვ. ქ-ელის, ვ. ბ-ავას ჩვენებებით, ამოღების ოქმებით, საქართველოს შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს 2008 წლის 22 თებერვლის №160/სქ ექსპერტის დასკვნით, ექვმიტანილების დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმებით, ნარკოლოგიური შემოწმების №5032402 დასკვნით, სასამართლო სხდომაზე დათვალაიერებული ნივთიერი მტკიცებულებებით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2007 წლის 5 ივლისის, 2008 წლის 24 ივნისის განაჩენებითა და საქმეში არსებული სხვა მასალებით ა. უ-მისა და ნ. უ-მის მიერ მათზე ბრალად შერაცხული დანაშაულების ჩადენა უტყუარადაა დადასტურებული.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

რაც შეეხება კასატორის მოთხოვნას სასჯელის შემსუბუქების თაობაზე, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს და თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და მისი პიროვნების მახასიათებელი მონაცემების გათვალისწინებით, მსჯავრდებულ ა. უ-მეს დაუნიშნა ისეთი სასჯელი, რომლის შეცვლისა და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

ამავე დროს საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ «ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულ ა. უ-მეს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა - უნდა გაუნახევრდეს. მას საქართველოს სსკ-ის მე-19,260-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» და «ბ» ქვეპუნქტებითა და 273-ე მუხლით საბოლოოდ მოსახდელად უნდა განესაზღვროს 10 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» და «დ» ქვეპუნქტებით, «ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 13 ნოემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

«ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულ ა. უ-მეს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა - გაუნახევრდეს.

მსჯავრდებულ ა. უ-მეს საქართველოს სსკ-ის მე-19,260-ე მუხლის III ნაწილის «ა» და «ბ» ქვეპუნქტებითა და 273-ე მუხლით საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 9 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც მთლიანად დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი

ნაწილი - 1 წელი და საბოლოოდ ა. უ-ძეს განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის სახედ განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 10 წლისა და 6 თვის ვადით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნარკოტიკული საშუალების მოხმარება

განჩინება

№1425-აპ

17 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),

დ. სულაქველიძე,

პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. გ-ანის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 30 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 24 ივნისის განაჩენით გ. გ-ანი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 273-ე მუხლით (2007 წლის 16 მაისისა და 7 ივნისის ეპიზოდები) იმაში, რომ ჩაიდინა ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარება, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ, რაც გამოიხატა შემდეგში:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 22 ნოემბრის განაჩენით გ. გ-ანი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის მე-19,177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ« ქვეპუნქტით და მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-64-ე მუხლების საფუძველზე ჩათვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით; მასვე დაეკისრა ჯარიმა 5 ათასი ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

2007 წლის 10 იანვარს გ. გ-ანი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარებისათვის დააჯარიმა 500 ლარით. მიუხედავად ამისა, მან არ გააკეთა სათანადო დასკვნები და კვლავ ჩაიდინა ანალოგიური ქმედება, კერძოდ:

გ. გ-ანმა დაუდგენელ დროსა და ვითარებაში ექიმის დანიშნულების გარეშე, უკანონოდ მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება. 2007 წლის 16 მაისს, დაახლოებით 2⁰⁵ საათზე, იგი საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს ადმინისტრაციული წესით და შემოწმების მიზნით გადაიყვანეს შს სამინისტროს საქსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ნარკოლოგიურ კაბინეტში, სადაც ლაბორატორიული გამოკვლევით დაუდგინდა „ოპიუმისა« და „ბუპრენორფინის« ჯგუფის ნარკოტიკული საშუალების მიღების ფაქტი.

მანვე დაუდგენელ დროსა და ვითარებაში ექიმის დანიშნულების გარეშე კვლავ მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება. 2007 წლის 7 ივნისს, დაახლოებით 00.²⁰ საათზე, გ. გ-ანი ადმინისტრაციული წესით დააკავეს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა და ლაბორატორიული გამოკვლევით მას დაუდგინდა „ოპიუმის« ჯგუფის ნარკოტიკული საშუალების მიღების ფაქტი.

აღნიშნული ქმედებისათვის დანაშაულთა ერთობლიობით გ. გ-ანს მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 4 წელი და საბოლოოდ განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2008 წლის 3 ივნისიდან; მასვე სასჯელის მოხდაში ჩათვალა 2006 წლის 19 სექტემბრიდან 2006 წლის 22 ნოემბრამდე პატიმრობაში ყოფნის დრო.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ა. ვ-იანმა. მან ითხოვა გ. გ-ანისათვის დანიშნული სასჯელის - 6 წლით თავისუფლების აღკვეთის შემცირება 3 წლითა და 5 თვით თავისუფლების აღკვეთამდე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 30 სექტემბრის განაჩენით პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი შეიცვალა: გ. გ-ანს დანაშაულთა ერთობლიობით მიესაჯა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელი - 4 წელი და საბოლოოდ განესაზღვრა 5 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა; განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

კასატორი - მსჯავრდებული გ. გ-ანი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენით დანიშნული სასჯელის შემცირებას 4 წლითა და 10 თვით თავისუფლების აღკვეთამდე.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენი დადგენილია სსსკ-ის 496-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, იგი ეყრდნობა საქმეში არსებულ უტყუარ მტკიცებულებებს, რაც უდავოდ ადასტურებს გ. გ-ანის მიერ სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებების ჩადენას. ამასთან, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები არ დარღვეულა, ხოლო მატერიალური კანონი სწორადაა გამოყენებული, მსჯავრდებულს დანიშნული აქვს ზომიერი სასჯელი და გასაჩივრებული განაჩენი სამართლიანია.

უსაფუძვლოა კასატორის მოთხოვნა, რომ სასჯელის მოხდის ვადაში ჩათვალოს პირობითი მსჯავრის ქვეშ ყოფნის დრო. სსსკ-ის 503-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, დანიშნული სასჯელის ვადაში ითვლება დაკავებისა და წინასწარ პატიმრობაში, ასევე - სამედიცინო დაწესებულებაში სტაციონარულ ექსპერტიზაზე ყოფნის დრო.

საკასაციო საჩივარში აღნიშნული მოტივებით სასჯელის შემსუბუქების საფუძველი არ არსებობს, მაგრამ «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გ. გ-ანს უნდა გაუნახევრდეს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ გ. გ-ანის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 30 სექტემბრის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ: «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გ. გ-ანს გაუნახევრდეს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და განესაზღვროს 9 თვით თავისუფლების აღკვეთა;

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად და გ. გ-ანს საბოლოოდ მიესაჯოს 4 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნარკოტიკული საშუალების შეძენა, შენახვა, მოხმარება, გასაღება

განჩინება

№1502-აპ

18 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),**
- ზ. მეიშვილი,**
- პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ დ. ც-ავას საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 13 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ხოზის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 7 ივნისის განაჩენით, დ. ც-ავა ცნობილ იქნა უდანაშაულოდ საქართველოს სსკ-ის 363-ე მუხლის I ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში და გამართლდა.

დ. ც-ავა ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა, საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის II ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით და III ნაწილის «ა» ქვეპუნქტით - 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 260-ე მუხლის I ნაწილით - 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა მთლიანად და დ. ც-ავას საბოლოოდ სასჯელის სახედ და ზომად შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 8 წლისა და 6 თვის ვადით. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2006 წლის 3 დეკემბრიდან.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ დ. ც-ავას მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში: 2006 წლის 29 ნოემბერს დ. ც-ავა გამოძიებით დაუდგენელ პირებთან ერთად ხობის რაიონის სოფელ ... მდებარე მ. ლ-ავას სააფთაქო პუნქტში, საცავში უკანონო შეღწევით, ფარულად დაეუფლა მედიკამენტებსა და სხვა მატერიალურ ფასეულობას, რითაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა დაზარალებულს, ასევე, მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრა ბეჭედი. მანვე ჩაიდინა 8.1 გრამი «მარიხუანას» უკანონოდ შექმნა და შენახვა.

აღნიშნული განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 10 აგვისტოს განაჩენით დარჩა უცვლელად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განჩინებით გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 10 აგვისტოს განაჩენი დ. ც-ავას მიმართ და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გადაეგზავნა იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 13 ოქტომბრის განაჩენით დ. ც-ავა ცნობილ იქნა უდანაშაულოდ სსკ-ის 363-ე მუხლის I ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში და გამართლდა. დ. ც-ავა ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: სსკ-ის 177-ე მუხლის III ნაწილის «ა» ქვეპუნქტით - 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 260-ე მუხლის I ნაწილით - 2 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე მას საბოლოოდ სასჯელის სახედ და ზომად შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 5 წლისა და 6 თვის ვადით.

მსჯავრდებული დ. ც-ავა საკასაციო საჩივრით ითხოვს სასჯელის შემსუბუქებას იმ მოტივით, რომ არის ავადმყოფი, ჰყავს მარტოხელა, პენსიონერი, ავადმყოფი, მოხუცი დედა, რომელიც დარჩენილია უპატრონოდ, რადგან მისმა დამ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით: მსჯავრდებულ დ. ც-ავას ნაწილობრივ აღიარებითი ჩვენებით, დაზარალებულ მ. ლ-ავასა და მოწმეების - გ. ა-აიას, მ. ჯ-ავას, მ. გ-უას ჩვენებებით, ჩხრეკის ოქმით, სტაციონარული სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის №145/27-21 დასკვნით და საქმეში არსებული სხვა მასალებით დ. ც-ავას მიერ მასზე ბრალად შერაცხული დანაშაულების ჩადენა უტყუარადაა დადასტურებული.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძველად დაედება განაჩენის გაუქმებას.

რაც შეეხება კასატორის მოთხოვნას სასჯელის შემსუბუქების თაობაზე, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს და თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და მისი პიროვნების მახასიათებელი მონაცემების გათვალისწინებით, მსჯავრდებულ დ. ც-ავას დაუნიშნა ისეთი სასჯელი, რომლის შეცვლისა და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

ამავე დროს საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ «ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულ დ. ც-ავას სსკ-ის 260-ე მუხლის I ნაწილით დანიშნული სასჯელი - 2 წლით თავისუფლების აღკვეთა - უნდა გაუნახევრდეს. მას სსკ-ის 177-ე მუხლის III ნაწილის «ა» ქვეპუნქტითა და 260-ე მუხლის I ნაწილით საბოლოოდ უნდა განესაზღვროს 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» და ,,დ» ქვეპუნქტებით, «ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 13 ოქტომბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

«ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულ დ. ც-ავას სსკ-ის 260-ე მუხლის I ნაწილით დანიშნული სასჯელი - 2 წლით თავისუფლების აღკვეთა - გაუნახევრდეს.

მსჯავრდებულ დ. ც-ავას სსკ-ის 177-ე მუხლის III ნაწილის «ა» ქვეპუნქტითა და 260-ე მუხლის I ნაწილით საბოლოოდ განესაზღვროს 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. ავტოავარია

განჩინება

№1463-აპ

4 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
ლ. მურუსიძე,
მ. ოშხარელი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა დაზარალებულ ნ. კ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 29 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ყვარლის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 10 აპრილის განაჩენით შ. გ-მე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 128-ე მუხლით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რის გამოც სასჯელის ზომად განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 63-ე, 64-ე მუხლებით დანიშნული სასჯელი ჩათვალა პირობით და დაენიშნა გამოსაცდელი ვადა - 2 წელი. იმავე კოდექსის 41-ე, 42-ე მუხლებით მას დამატებით სასჯელად დაენიშნა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

განაჩენის მიხედვით, შ. გ-მეს მსჯავრი დაედო განსაცდელში მიტოვებისათვის, რაც გამოიხატა შემდეგში: შ. გ-მე 2004 წლის 28 დეკემბერს, დაახლოებით 17 საათსა და 30 წუთზე, მართვის მოწმობის გარეშე მართავდა ქ. ლაგოდეხში მცხოვრებ კ. შ-ძის კუთვნილ, იმ დროისათვის მისი დედის - მ. კ-შვილის მფლობელობაში არსებულ „ვაზ 2107“ მარკის ავტომანქანას. იგი ქ. ყვარლის შესასვლელთან, ქალაქის ცენტრის მიმართულებით მოძრაობისას ი. ჭავჭავაძის ქუჩაზე, მოქალაქე გ. ბ-შვილის საცხოვრებელი ბინის მიმდებარე ტერიტორიაზე, შეეჯახა ფეხით მოსიარულე უ. კ-შვილს, რომელიც შეჯახების შედეგად წყალგამტარ არხში ჩავარდა. ავტოსაგზაო შემთხვევის შემდეგ შ. გ-მე ავტომანქანიდან გადმოვიდა, უ. კ-შვილს თავი ამოუწია წყლიდან და არხის კედელზე ზურგით მიაყუდა. უ. კ-შვილი სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში იმყოფებოდა და შესაძლებლობა არ ჰქონდა თავის დასაცავად ზომები მიეღო, შ. გ-მემ კი იგი დაუხმარებლად მიატოვა მაშინ, როდესაც მას ევალებოდა და შეემლო კიდეც მისი დახმარება. შ. გ-მე შემთხვევის ადგილიდან მიიშალა. უ. კ-შვილი ყვარლის რაიონულ საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ, სამედიცინო დახმარების მიუხედავად, გარდაიცვალა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა დაზარალებულმა ნ. კ-შვილმა, რომელიც თავისი საჩივრით ითხოვდა ყვარლის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 10 აპრილის განაჩენის გაუქმებას და შ. გ-ძის მიმართ საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით გამამტყუნებელი განაჩენის დადგენას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 29 ივნისის განაჩენით სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, ხოლო ყვარლის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 10 აპრილის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა დაზარალებულმა ნ. კ-შვილმა, რომელიც თავისი საჩივრით ითხოვს შ. გ-ძის ქმედების სსკ-ის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით დაკვალიფიცირებას იმ მოტივით, რომ სასამართლომ უსაფუძვლოდ უარყო ავტოტექნიკური ექსპერტიზის ის დასკვნა, რომლის მიხედვით, მსჯავრდებულ შ. გ-მეს შეემლო ავტოსაგზაო შემთხვევის თავიდან აცილება, თუკი ის დაიცავდა ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების წესებს, განაჩენი დაეყრდნო არასარწმუნო, წინააღმდეგობრივ მტკიცებულებებს, რის შედეგადაც მსჯავრდებულ შ. გ-მეს არასწორად მოეხსნა ბრალდება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ შ. გ-ძის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მიერ საკასაციო საჩივარში წარმოდგენილ არგუმენტებს, რომელთა საფუძველზეც იგი ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებას შ. გ-ძის სსკ-ის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით მსჯავრდების მიზნით, რადგან სასამართლო გამოძიების შედეგად ვერ იქნა მოპოვებული უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებები აღნიშნული ბრალდების საფუძვლიანობის დასადასტურებლად. სააპელაციო სასამართლომ სწორად მიუთითა, რომ აღნიშნულ ინსტანციაში საქმის წარმოებისას დაზარალებულ მხარეს არ წარმოუდგენია ისეთი ახალი მტკიცებულებები, რომლებითაც გაბათილდებოდა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნები შ. გ-ძის ბრალულობის თაობაზე. აღსანიშნავია ისიც, რომ მძიმე ბრალდება სასამართლო პროცესზე მოხსნა თვით სახელმწიფო ბრალმდებელმა. სასამართლომ შ. გ-ძის მიერ ჩადენილი ქმედება სწორად დააკვალიფიცირა

საქართველოს სსკ-ის 128-ე მუხლით, ხოლო სასჯელთა ზომები მსჯავრდებულს განუსაზღვრა საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და მისი პიროვნების მახასიათებლების გათვალისწინებით, ამასთან, პირობითი მსჯავრის სახით შერჩეულ იქნა ისეთი ღონისძიება, რომელიც სავსებით უზრუნველყოფს სისხლისსამართლებრივი სასჯელის მიზნის მიღწევას.

ამავე დროს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ შ. გ-ძის მიმართ უნდა გავრცელდეს «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მოქმედება, კერძოდ, ამ კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, იგი უნდა გათავისუფლდეს აღნიშნული განაჩენით სსკ-ის 128-ე მუხლის საფუძველზე დანიშნული სასჯელის - 2 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთისა და ამ უკანასკნელის საფუძველზე გამოყენებული პირობითი მსჯავრის მოხდისაგან, ხოლო დამატებითი სასჯელის დანიშვნის ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად, ვინაიდან მის მიმართ არ ვრცელდება «ამნისტიის შესახებ» ხსენებული კანონის მოქმედება, სხვა საფუძველი კი მისი შეცვლისათვის არ არსებობს.

აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 29 ივნისის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ შ. გ-ძის სასიკეთოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

დაზარალებულ ნ. კ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 29 ივნისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მსჯავრდებულ შ. გ-ძე გათავისუფლდეს აღნიშნული განაჩენით დანიშნული სასჯელის - 2 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთისა და ამ სასჯელის საფუძველზე შეფარდებული პირობითი მსჯავრის მოხდისგან.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ავტოგარია

განჩინება

№1592-აპ

4 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),**
- ლ. მურუსიძე,**
- ი. ტყეშელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ - გ. ხ-ძის დამცველის, ადვოკატ დ. ნ-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 13 ივლისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ბორჯომის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 1 მაისის განაჩენით გ. ხ-ძე ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რისთვისაც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით. იმავე კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე აღნიშნულ სასჯელს დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა და მას სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით.

განაჩენის მიხედვით, გ. ხ-ძეს მსჯავრი დაედო ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების წესის ისეთი დარღვევისათვის, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია, ჩადენილი მთვრალ მდგომარეობაში, რაც გამოიხატა შემდეგში: 2006 წლის 26 სექტემბერს, დაახლოებით 00:45 საათზე, მთვრალი გ. ხ-ძე მართავდა ავტომანქანა «ვაზ-21033-ს» და მოძრაობდა ხაშური-ახალციხე-ვალეს გზის 21-ე კილომეტრზე, ბორჯომიდან ხაშურის მიმართულებით, დაახლოებით 60 კმ/სთ სიჩქარით. სოფელ რველში მოძრაობისას მან დაარღვია «საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ» საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნები და, გამოიჩინა რა დანაშაულებრივი თვითიმედოვნება, მოსახვევში ვეღარ დაიმორჩილა საჭე, გადავიდა სავალი გზის მისთვის განკუთვნილი ზოლიდან და

შეეჯახა უკიდურეს მარცხენა მხარეს მდგარ, დაზიანებულ «ურალაზ-43202» მარკის ავტომანქანას. ამით გამოწვეული დაზიანების გამო, ავტომანქანა «ვაზ-21033»-ში მყოფი მგზავრი ნ. გ-მე შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ გ. ხ-ძის დამცველმა, ადვოკატმა ლ. ჯ-ძემ, რომელიც თავისი საჩივრით ითხოვდა ბორჯომის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 1 მაისის განაჩენის გაუქმებას, მსჯავრდებულ გ. ხ-ძის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტასა და პატიმრობიდან მის განთავისუფლებას. სააპელაციო სასამართლოში მსჯავრდებულმა და მისმა დამცველმა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა შეცვალეს, კერძოდ: მსჯავრდებულმა გ. ხ-ძემ თავი სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და ითხოვა სასჯელის შემსუბუქება, ხოლო მისმა ადვოკატმა კი ითხოვა ბორჯომის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 1 მაისის განაჩენიდან, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გ. ხ-ძისათვის დანიშნული სასჯელიდან პირობით მოუხდელი სასჯელის - 3 წლით თავისუფლების აღკვეთის - ამორიცხვა და გ. ხ-ძისათვის სასჯელის ზომად 6 წლით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 13 ივლისის განაჩენით სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, ხოლო ბორჯომის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 1 მაისის განაჩენი გ. ხ-ძის მიმართ დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ გ. ხ-ძის დამცველმა, ადვოკატმა დ. ნ-ძემ, რომელიც თავისი საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 13 ივლისის განაჩენში ცვლილების შეტანას მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ, განაჩენიდან, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, წინა განაჩენიდან დამატებული, მოუხდელი სასჯელის - 3 წლით თავისუფლების აღკვეთის - ამორიცხვასა და მისთვის საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე სასჯელის ზომად 6 წლით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ გ. ხ-ძის მიმართ, შეამოწმა საკასაციო საჩივრის მოთხოვნის საფუძველიანობა და მოუსმინა მხარეებს, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სისხლის სამართლის საქმის მასალებით უდავოდ არის დადასტურებული, რომ მსჯავრდებულმა გ. ხ-ძემ ნამდვილად ჩაიდინა სასამართლოს განაჩენით მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება, რასაც თვით მსჯავრდებულის არ უარყოფს.

რაც შეეხება სასამართლოს მიერ მსჯავრდებულ გ. ხ-ძისათვის დანიშნულ სასჯელს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ იგი განსაზღვრულია მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი ქმედების სიმძიმის, დამდგარი შედეგისა და თვით მისი პიროვნების გათვალისწინებით, რის გამოც ვერ ჩაითვლება უსამართლო ან ზედმეტად მკაცრ ღონისძიებად. მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრის მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი.

ამავდროს საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ გ. ხ-ძის მიმართ უნდა გავრცელდეს «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მოქმედება, კერძოდ, აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, მას სასამართლოს განაჩენით საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით - უნდა გაუნახევრდეს.

ზემოაღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 13 ივლისის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ გ. ხ-ძის სასიკეთოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ გ. ხ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 13 ივლისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ გ. ხ-ძეს, «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე განსაზღვრული სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით - გაუნახევრდეს და მას ამ ნაწილში სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით, რასაც დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა და გ. ხ-ძეს სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ავტოავარია

განჩინება

№1612-აპ

4 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
- ლ. მურუსიძე,
- ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. ნ-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 ივლისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გ. ნ-ძე ამჟამად პატიმარი, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 14 მაისის განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-3 და მე-5 ნაწილების საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლისა და 6 თვის ვადით. მასვე დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა ავტომანქანის მართვის უფლების ჩამორთმევა 6 თვის ვადით.

განაჩენის მიხედვით, გ. ნ-ძეს მსჯავრი დაედო ავტომანქანის მოძრაობის უსაფრთხოების წესის ისეთი დარღვევისათვის, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება და ადამიანის სიცოცხლის მოსპობა. აღნიშნული დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2005 წლის 27 მაისს, დაახლოებით 20.00 საათზე, გ. ნ-ძე მძღოლის მოწმობის გარეშე მართავდა ავტომანქანა «ოპელს». იგი მოძრაობდა გადაჭარბებული, დაახლოებით 130-140 კმ\სთ სიჩქარით, თბილისში, ხიზანიშვილის ქუჩაზე, გლდანის მე-6 მ.რაიონის მხრიდან მეტრო «ახმეტელის» მიმართულებით, მშრალ, ასფალტირებულ საავტომობილო გზაზე. აღნიშნულ ქუჩაზე, გლდანის მასივის მე-6 მ.რაიონის პირველი კორპუსის მოპირდაპირე მხარეზე მსვლელობისას, მან დაარღვია ავტომობილით მოძრაობის უსაფრთხოების წესები, კერძოდ, სავალი ნაწილის მესამედან მეხუთე ზოლში გადასვლა დაიწყო ისე, რომ არ დარწმუნდა აღნიშნული მანევრის უსაფრთხოებაში, რა დროსაც ვერ უზრუნველყო ავტომობილის უსაფრთხო მართვა და წინა, მარჯვენა კუთხით წინა, მარცხენა კუთხეში დაეჯახა იმავე საავტომობილო გზის მეორე ზოლში მოძრავ ავტომობილს - «ვაზ-2109», რომელსაც მოძრაობის წესების დაცვით მართავდა მძღოლი დ. მ-შვილი. შეჯახების შედეგად, გ. ნ-ძემ დაკარგა ავტომობილის მართვა, გადავიდა მისგან უკიდურეს მარჯვენა მხარეს და შეეჯახა ბორდიურზე განთავსებულ ბეტონის ბოძს. აღნიშნული ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად გარდაიცვალა ავტომობილ «ოპელის» მგზავრი გ. კ-ძე და ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება მიიღო ამავე ავტომობილის მეორე მგზავრმა, უკანა სავარძელში მჯდომმა მ. კ-ძემ.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა გ. ნ-ძემ. აპელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა სასჯელის შემსუბუქებას იმ მოტივით, რომ არის სტუდენტი, აღიარებს და ინანიებს ჩადენილ ქმედებას, ხასიათდება დადებითად, ჰყავს ავადმყოფი ძმა და უკიდურესად გაჭირვებული ოჯახი, რის გამოც ვერ შეძლო დაზარალებულისათვის ზიანის ანაზღაურება.

საჩივარი განიხილა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, რომელმაც, არ დააკმაყოფილა რა აპელანტის მოთხოვნა, 2007 წლის 19 ივლისის განაჩენით მსჯავრდებულ გ. ნ-ძის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი დატოვა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა გ. ნ-ძემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორი თავისი საჩივრით ითხოვს გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანასა და მისთვის შეფარდებული სასჯელის შემსუბუქებას იმავე მოტივებით, რაც მითითებული ჰქონდა სააპელაციო საჩივარში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ გ. ნ-ძის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძველიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სისხლის სამართლის საქმის მასალებით უდავოდ არის დადასტურებული, რომ მსჯავრდებულმა გ. ნ-ძემ ნამდვილად ჩაიდინა სასამართლოს განაჩენით მისთვის შერაცხული ქმედება, ხოლო აღნიშნულ ბრალდებას ეთანხმება თვით მსჯავრდებულის.

რაც შეეხება სასამართლოს მიერ მსჯავრდებულ გ. ნ-ძისათვის თავისუფლების აღკვეთისა და ავტომანქანის მართვის უფლების ჩამორთმევის სახით დანიშნულ სასჯელს, უნდა აღინიშნოს, რომ მათი ზომა განსაზღვრულია მის მიერ ჩადენილი ქმედების სიმძიმის, შედეგებისა და თვით

მსჯავრდებულის პიროვნების გათვალისწინებით, რის გამოც იგი ვერ ჩაითვლება უსამართლო და ზედმეტად მკაცრ ღონისძიებად.

მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არსებობს საფუძველი საკასაციო საჩივრის მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის.

ამავე დროს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ გ. ნ-ძის მიმართ უნდა გავრცელდეს «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მოქმედება, კერძოდ, აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, მას სასამართლოს განაჩენით დანიშნული სასჯელები უნდა გაუნახევრდეს.

ზემოაღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას 2007 წლის 19 ივლისის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ გ. ნ-ძის სასიკეთოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ გ. ნ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 ივლისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ გ. ნ-ძეს «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების საფუძველზე აღნიშნული განაჩენით განსაზღვრული სასჯელები - თავისუფლების აღკვეთა 5 წლისა და 6 თვის ვადით, აგრეთვე, ავტომატურად მართვის უფლების ჩამორთმევა 6 თვის ვადით, გაუნახევრდეს და მას საბოლოო სასჯელებად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 2 წლისა და 9 თვის ვადით, ხოლო ავტომატურად მართვის უფლების ჩამორთმევა - 3 თვის ვადით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ავტოგარია

განჩინება

№1721-აპ

4 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),

ლ. მურუსიძე,

ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ე. ნ-შვილისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. ა-ანის საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 31 აგვისტოს განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

სენაკის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 11 მაისის განაჩენით ე. ნ-შვილი ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლისა და 6 თვის ვადით. მასვე ჩამოერთვა ავტომატურად მართვის უფლება 1 წლის ვადით.

განაჩენის მიხედვით, ე. ნ-შვილს მსჯავრი დაედო ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევაში, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, ჩადენილი მთვრალ მდგომარეობაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 2 დეკემბერს, დაახლოებით 20 საათსა და 30 წუთზე, მთვრალი ე. ნ-შვილი, მართავდა რა თავის კუთვნილ „ოპელ-ვექტრას“ მარკის ავტომატურად მართვის თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის მონაკვეთზე. ქ. სენაკში, მშვიდობის ქუჩაზე, მოძრაობდა რა სენაკიდან ზუგდიდის მიმართულებით, მან დაარღვია ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების წესების 28.9, 29.1 მუხლებითა და 38.2-ის მუხლის „დ“ პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები, რის გამოც ვერ უზრუნველყო თავისი მართვის ქვეშ მყოფი ავტომატურად მართვის სწორი მართვა და იგი წინა, მარცხენა ფრთით შეეჯახა იმავე მიმართულებით ქვეითად მიმავალ ც. თ-ავას, რის შედეგად ც. თ-ავამ

მიიღო სხეულის მრავლობითი დაზიანება. იგი გადაყვანილ იქნა სენაკის №1 საავადმყოფოში, სადაც მიყენებული დაზიანებების შედეგად რამდენიმე საათში გარდაიცვალა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა ე. ნ-შვილმა და მისმა დამცველმა, ადვოკატმა გ. ა-ანმა. თავისი საჩივრით აპელანტები ითხოვდნენ მსჯავრდებულის მიმართ პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის სასჯელის ნაწილში ცვლილების შეტანას მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ, ე. ნ-შვილისათვის 6 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთის შეფარდებას და, სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით, დანიშნული სასჯელის ერთი მესამედის - პირობით ჩათვლას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 31 აგვისტოს განაჩენით მსჯავრდებულ ე. ნ-შვილისა და მისი დამცველის, ადვოკატ გ. ა-ანის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო სენაკის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 11 მაისის განაჩენი მსჯავრდებულ ე. ნ-შვილის მიმართ დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ე. ნ-შვილმა და მისმა დამცველმა, ადვოკატმა გ. ა-ანმა საკასაციო საჩივრებით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. ისინი ითხოვენ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 31 აგვისტოს განაჩენის შეცვლასა და სასჯელის შემსუბუქებას იმ მოტივით, რომ მსჯავრდებულმა მოინანია თავისი ქმედება და აქტიურად ითანამშრომლა გამოძიებასთან. ადვოკატის აზრით, ვინაიდან მსჯავრდებულმა ე. ნ-შვილმა ჩაიდინა გაუფრთხილებელი დანაშაული, სააპელაციო სასამართლო ვალდებული იყო, სასჯელის დანიშვნისას გამოეყენებინა საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის მითითებები, რაც ითვალისწინებს დანიშნული სასჯელის ერთი მესამედის პირობით ჩათვლას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ე. ნ-შვილის მიმართ, შეამოწმა საკასაციო საჩივრების მოთხოვნის საფუძვლიანობა და მოუსმინა მხარეებს, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სისხლის სამართლის საქმის მასალებით უდავოდ არის დადასტურებული, რომ მსჯავრდებულმა ე. ნ-შვილმა ნამდვილად ჩაიდინა სასამართლოს განაჩენით მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება, რასაც თვით მსჯავრდებულებაც არ უარყოფს.

რაც შეეხება სასამართლოს მიერ მსჯავრდებულ ე. ნ-შვილისათვის თავისუფლების აღკვეთისა და ავტომანქანის მართვის უფლების ჩამორთმევის სახით დანიშნულ სასჯელებს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ იგი განსაზღვრულია მსჯავრდებულ ე. ნ-შვილის მიერ ჩადენილი ქმედების სიმძიმის, დამდგარი შედეგისა და თვით მსჯავრდებულის პიროვნების გათვალისწინებით, რის გამოც ვერ ჩაითვლება უსამართლო ან ზედმეტად მკაცრ ღონისძიებად.

მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრების მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი. ამავე დროს საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ე. ნ-შვილის მიმართ უნდა გავრცელდეს „ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მოქმედება, კერძოდ, აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, მას სასამართლოს განაჩენით დანიშნული სასჯელები უნდა გაუნახევრდეს.

ზემოაღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 31 აგვისტოს განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ ე. ნ-შვილის სასიკეთოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ე. ნ-შვილისა და მისი დამცველის, ადვოკატ გ. ა-ანის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 31 აგვისტოს განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ ე. ნ-შვილს „ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების საფუძველზე აღნიშნული განაჩენით განსაზღვრული სასჯელები - თავისუფლების აღკვეთა 6 წლისა და 6 თვის ვადით, აგრეთვე ავტომანქანის მართვის უფლების ჩამორთმევა 1 წლის ვადით - გაუნახევრდეს და მას საბოლოო სასჯელებად განესაზღვროს: თავისუფლების აღკვეთა 3 წლისა და 3 თვის ვადით, ხოლო ავტომანქანის მართვის უფლების ჩამორთმევა 6 თვის ვადით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ავტოავარია

განჩინება

№1885-აპ

4 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
ლ. მურუსიძე,
მ. ოშხარელი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ჯ. გ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 14 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 26 ივნისის განაჩენით ჯ. გ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე – თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით, ხოლო ამავე კოდექსის 128-ე მუხლის საფუძველზე – თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, რის გამოც მას სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით.

განაჩენის მიხედვით, ჯ. გ-შვილს მსჯავრი დაედო მთვრალ მდგომარეობაში ტრაქტორის მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევისათვის, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია და განსაცდელში მიტოვებისათვის, რაც გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 18 დეკემბერს სიღნაღის რაიონის სოფ. ... მცხოვრები, სოფელ ... მეთესლეობის მეურნეობის მექანიზატორი ჯ. გ-შვილი თავის საცხოვრებელ ბინაში სადილობისას არყით დათვრა, რის შემდეგაც გადაწყვიტა «ბელორუსის» მარკის ტრაქტორით, რომელსაც მართავდა, გადაეყვანა სოფ. ... მეურნეობის მუშები, რაც მას სამსახურებრივად ევალებოდა. ამ მიზნით მთვრალი ჯ. გ-შვილი, დაახლოებით 18:00 საათზე, მიუჯდა ტრაქტორის საჭეს და სოფ. მადაროდან გაემართა სოფ. ... მიმართულებით. ხსენებულ სოფელში, დედოფლისწყარო-თბილისის ცენტრალურ საავტომობილო გზაზე მოძრაობისას, ჯ. გ-შვილმა დაარღვია «საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ» კანონის 28-ე მუხლის პირველი, მეოთხე, მეხუთე პუნქტებისა და 29-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნები, კერძოდ, სიმთვრალის გამო ვერ უზრუნველყო ტრაქტორის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დაცვა და საჭესთან ჩაემინა, დაკარგა ტრანსპორტის მართვის უნარი, რის გამოც ტრაქტორი გადავიდა ტრანსპორტის მოძრაობის საპირისპირო, უკიდურეს მარცხენა მხარეს და შეეჯახა ქვეითად მოსიარულე, სოფ. ... მცხოვრებ ნ. ნ-შვილს, რომელიც შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

ჯ. გ-შვილმა იცოდა რა, რომ ტრაქტორით შეეჯახა ქვეითად მოსიარულეს, მძიმედ დაშავებული მიატოვა განსაცდელში და არ მიიღო არავითარი ზომები სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფი ნ. ნ-შვილის გადასარჩენად, როცა მას ევალებოდა მასზე ზრუნვა და შეეძლო მისი დახმარება.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულ ჯ. გ-შვილის ადვოკატებმა – თ. მ-შვილმა და გ. გ-შვილმა, ხოლო მათ სააპელაციო საჩივარზე შესაგებელი წარმოადგინა სახელმწიფო ბრალმდებელმა ნ. ლ-შვილმა.

საჩივრით აპელანტები ითხოვდნენ პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გაუქმებასა და გამამართლებელი განაჩენის გამოტანას, რასაც ასაბუთებდნენ იმით, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებები მოპოვებული იყო კანონის უხეში დარღვევით.

შესაგებლით პროკურორი ითხოვდა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის ძალაში დატოვებას იმ მოტივით, რომ ჯ. გ-შვილის მიერ ჩადენილი ქმედება მოიცავდა ორ დანაშაულს, რომელთაგან ერთი იყო მძიმე კატეგორიის. სახელმწიფო ბრალმდებელი ნ. ლ-შვილი შესაგებელში აღნიშნავდა, რომ დადგენილი სასჯელის ზომა მთლიანად შეესაბამებოდა მსჯავრდებულ ჯ. გ-შვილის მიერ ჩადენილი ქმედების სიმძიმესა და მსჯავრდებულის პიროვნებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 14 სექტემბრის განაჩენით სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა და სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 26 ივნისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ჯ. გ-შვილმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას, ხოლო მის საკასაციო საჩივარზე შესაგებელი შეიტანა სახელმწიფო ბრალმდებელმა გ. ჯ-შვილმა.

კასატორი საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 14 სექტემბრის განაჩენის გაუქმებას და სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას იმავე მოტივებით, რაც მითითებული ჰქონდა სააპელაციო საჩივარში.

შესაგებლით პროკურორი გ. ჯ-შვილი ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის უცვლელად დატოვებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ჯ. გ-შვილის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს მსჯავრდებულ ჯ. გ-შვილის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მას მისთვის ბრალად შერაცხული ქმედებები არ ჩაუდენია, ხოლო განაჩენი ემყარება საპროცესო კანონის უხეში დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს. სასამართლოს განაჩენით მისთვის ბრალად შერაცხული ქმედებების ჩადენა ობიექტურად და სარწმუნოდ არის დადგენილი საქმეში არსებულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ: მოწმე ბ. ხ-შვილის წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენებებით, ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნითა და შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებმა სწორად დაადგინეს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მათ მისცეს სწორი სამართლებრივი შეფასება, ქმედების ჩადენის დროს მოქმედი კანონის მიხედვით. გარდა ამისა, საკასაციო პალატა სასამართლოს მიერ ჯ. გ-შვილის მიმართ დანიშნული სასჯელის ზომის თვლის სამართლიანად და დასაბუთებულად, რის გამოც მიაჩნია, რომ სასჯელის ნაწილში განაჩენის შეცვლის საფუძველი არ არსებობს.

მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრის მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი. ამავე დროს საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ჯ. გ-შვილის მიმართ უნდა გავრცელდეს «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მოქმედება, კერძოდ, აღნიშნული კანონის პირველი მუხლის თანახმად, მსჯავრდებული ჯ. გ-შვილი უნდა გათავისუფლდეს სსკ-ის 128-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელის - 1 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთის - მოხდისაგან, ხოლო აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, მსჯავრდებულ ჯ. გ-შვილს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელი - 7 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა - უნდა გაუნახევრდეს.

ზემოაღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 14 სექტემბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ ჯ. გ-შვილის სასიკეთოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ჯ. გ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 14 სექტემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებული ჯ. გ-შვილი, «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის პირველი მუხლის თანახმად, გათავისუფლდეს სსკ-ის 128-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელის - 1 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთის - მოხდისაგან, ხოლო ამავე კანონის მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, მსჯავრდებულ ჯ. გ-შვილს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე განსაზღვრული სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით - გაუნახევრდეს და მას საბოლოო სასჯელად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 3 წლისა და 6 თვის ვადით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ავტოგარია

განჩინება

№1922-აპ

12 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ლ. მურუსიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ კ. ბ-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ო-შვილის, მსჯავრდებულების - ს. ა-ანისა და თ. მ-ანის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ლ.

კ-ძის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 21 სექტემბრის განაჩენზე ს. ა-ანის, თ. მ-ანის, კ. ბ-შვილისა და თ. თ-ევის მიმართ.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 11 აპრილის განაჩენით ცნობილ იქნენ დამნაშავეებად:

1. ს. ა-ანი საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა», „ბ» ქვეპუნქტებით, 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა» ქვეპუნქტით, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ» ქვეპუნქტით, 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ» ქვეპუნქტით იმაში, რომ ჩაიდინა ყაჩაღობა, ე.ი. თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით, ჯგუფურად; მანვე ჩაიდინა თაღლითობა, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის მოტყუებით დაუფლება, ჩადენილი ჯგუფურად, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია; მანვე ჩაიდინა ძარცვა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია; ასევე - ყაჩაღობა ჯგუფურად და პოლიციის მუშაკის მიმართ წინააღმდეგობა მისი საქმიანობის შეწყვეტის მიზნით, ჩადენილი ძალადობითა და წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ;

2. თ. მ-ანი საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა», „ბ» ქვეპუნქტებით, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ» ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა» ქვეპუნქტით, 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა თაღლითობა, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის მოტყუებით დაუფლება, ჩადენილი ჯგუფურად, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია; მანვე ჩაიდინა ყაჩაღობა ჯგუფურად და არაერთგზის; ასევე - პოლიციის მუშაკის მიმართ წინააღმდეგობა მისი საქმიანობის შეწყვეტის მიზნით, ჩადენილი ძალადობითა და წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ;

3. თ. ტ-ევი საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ» ქვეპუნქტით, 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა ყაჩაღობა ჯგუფურად; ასევე - პოლიციის მუშაკის მიმართ წინააღმდეგობა მისი საქმიანობის შეწყვეტის მიზნით, ჩადენილი ძალადობითა და წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ;

4. კ. ბ-შვილი საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილებით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით), 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ» ქვეპუნქტით, 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევა, რამაც გამოიწვია ერთი ადამიანის ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება, ხოლო მეორის - ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება; ასევე - ყაჩაღობა ჯგუფურად და პოლიციის მუშაკის მიმართ წინააღმდეგობა მისი საქმიანობის შეწყვეტის მიზნით, ჩადენილი ძალადობითა და წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ.

ს. ა-ანის, კ. ბ-შვილის, თ. ტ-ევისა და თ. მ-ანის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოხატა შემდეგში:

2005 წლის 15 იანვარს, დაახლოებით 1³⁰ საათზე, კ. ბ-შვილი მართავდა თავის კუთვნილ ავტომანქანა „ბმვ-ს» და მოძრაობდა ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირზე, ქ. თბილისის მერიიდან მეტროს სადგურ „რუსთაველის» მიმართულებით, გადაჭარბებული, დაახლოებით 80 კმ/სთ-ში სიჩქარით. №1 საშუალო სკოლის მოპირდაპირე მხარეზე მსვლელობისას, სავალი ნაწილის მესამე ზოლში მან დაარღვია „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ» საქართველოს კანონის 27-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნები, რომლის თანახმადაც: „ზოლიდან ზოლში გადასვლის ... წინ... მანევრი უნდა იყოს უსაფრთხო, რათა მოძრაობის სხვა მონაწილეებს არ შეექმნათ დაბრკოლება».

უგულებელყო რა მოძრაობის უსაფრთხოების წესების ზ/აღნიშნული პუნქტის მოთხოვნები, კ. ბ-შვილმა, გადაჭარბებული სიჩქარით მსვლელობისას, ვერ უზრუნველყო ავტომობილის უსაფრთხო მართვა, გადაკვეთა ორმაგი ღერძულა ხაზი, გადავიდა საწინააღმდეგო მხარეს და შეეჯახა შემხვედრი მიმართულებით, საგზაო მოძრაობის წესების სრული დაცვით მოძრავ ავტომობილ „ვაზ-2104-ს», რომელსაც მართავდა ლ. კ-ია, რის შემდეგაც ამ უკანასკნელმა მიიღო ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ხარისხის დაზიანება, ხოლო ავტომობილ „ბმვ-ს» მგზავრმა ნ. ა-მემ მიიღო ჯანმრთელობის მძიმე ხარისხის დაზიანება.

2006 წლის 17 მაისს ს. ა-ანი დაუკავშირდა სამ პირს, რის შემდეგაც ოთხივემ გადაწყვიტა, დანაშაულებრივი გზით ეშოვათ ფული. თავიანთი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ს. ა-ანი, გ. ა-ანი და ორი დაუდგენელი პირი, შეიარაღებულები ცეცხლსასროლი იარაღებით, მივიდნენ ქ. თბილისში, ... ქ. №60-ში მდებარე ინდემწარმე „ნ. თ-შვილის» კუთვნილ მინიმარკეტში, სადაც, პისტოლეტისა და გადაჭრილი თოფის მუქარით, ნ. თ-შვილსა და მინიმარკეტში მომუშავე ა. ს-მეს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით გასტაცეს 265 ლარის «მონო» და „ლაი-ლაი» ბარათები, თანხა - 7 ლარი, სხვადასხვა დასახელების სიგარეტი, პროდუქტი და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

2006 წლის 20 აგვისტოს, დაახლოებით 21 საათზე, ს. ა-ანი, თ. მ-ანი და გამოძიებით დაუდგენელი პირი იმყოფებოდნენ ქ. თბილისში, კოლმეურნეობის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე.

მათ დაინახეს, რომ მათთვის უცნობ პირს - ხ. ხ-შვილს ჰქონდა „მოტოროლას» ფირმის მობილური ტელეფონი და განიზრახეს მისი მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლება. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ს. ა-ანი და თ. მ-ანი მივიდნენ იქვე მდგომ ხ. ხ-შვილთან. თ. მ-ანმა, ვითომდა ტელეფონზე დარეკვის მიზნით, გამოართვა მას მობილური ტელეფონი და მოსაჩვენებლად დაიწყო ტელეფონზე ლაპარაკი, ხოლო ს. ა-ანმა, წინასწარი შეთანხმებისამებრ, ხ. ხ-შვილს გაუბა საუბარი და გადაიტანა მისი ყურადღება. ამ დროს თ. მ-ანმა ისარგებლა შემთხვევით, თაღლითურად დაეუფლა ხ. ხ-შვილის კუთვნილ, 240 ლარად ღირებულ „მოტოროლას» ფირმის მობილურ ტელეფონს და მიიმალა. აღნიშნული ქმედებით დაზარალებულს მიადგა მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი. ტელეფონის დაბრუნების იმედით ხ. ხ-შვილმა ს. ა-ანთან ერთად დაუწყო ძებნა თ. მ-ანს. ამ დროს მასთან მივიდა გამოძიებით დაუდგენელი პირი, რომელიც, ასევე წინასწარი შეთანხმების თანახმად, შეეცადა ს. ა-ანის გარიდებას ხ. ხ-შვილისაგან, რისი საშუალებაც ამ უკანასკნელმა არ მისცა და ერთად განაგრძეს თ. მ-ანის ძებნა. რამდენიმე ხანში მათ იგი ნახეს ბარათაშვილის ხიდთან მდებარე ქორწინების სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე, თუმცა მას მობილური ტელეფონი არ აღმოაჩნდა, რაც იმით ახსნა, რომ ვითომ ტელეფონი უცნობმა პირებმა წაართვეს. ს. ა-ანი დაჰპირდა ხ. ხ-შვილს, რომ აუცილებლად დაუბრუნებდა თავის ტელეფონის აპარატს და ისინი დაშორდნენ ერთმანეთს.

2006 წლის 23 აგვისტოს, დაახლოებით 11.³⁰ საათზე, ს. ა-ანი იმყოფებოდა ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირზე, ოპერის მიმდებარე ტერიტორიაზე. ამ დროს მან დაინახა იქვე გაჩერებული თ. მ-ძის კუთვნილი ავტომანქანა „ბმვ». დააფიქსირა, რომ თ. მ-ძე და მისი მეგობარი - ს. ს-რუა გადასულები იყვნენ ავტომანქანიდან რამდენიმე მეტრის მოშორებით, ხოლო ღია ავტომანქანაში დარჩენილი იყო ხელჩანთა და განიზრახა მისი მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლება. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად იგი მივიდა ავტომანქანასთან ახლოს, წინა, მარჯვენა კარის მხრიდან, სადაც ჩაწეული იყო მინა ისე, რომ თ. მ-ძე და ს. ს-რუა მას ხედავდნენ, მართლსაწინააღმდეგოდ, აშკარად დაეუფლა სავარძელზე დადებულ, თ. მ-ძის კუთვნილ ხელჩანთას, რომელშიც იდო სხვადასხვა ნივთები და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა, რითიც დაზარალებულს სულ მიაყენა 985 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

2006 წლის 27 აგვისტოს, დაახლოებით 24.²⁰ საათზე, ს. ა-ანი, თ. მ-ანი, კ. ბ-შვილი და თ. ტ-ევი იყვნენ ქ. თბილისში, კოლმეურნეობის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც დაინახეს ფეხით მიმავალი, მათთვის უცნობი პირი - ჯ. გ-ავა და განიზრახეს ძალადობის მუქარით მისი მოძრაობის ნივთების მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლება. თავიანთი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მათ გააჩერეს ჯ. გ-ავა და სთხოვეს ტელეფონზე დარეკვა. ამ უკანასკნელმა ს. ა-ანს მიაწოდა „სიმენსის» ფირმის მობილური ტელეფონის აპარატი. ამ დროს იქვე მყოფმა თ. მ-ანმა მას დასათვალისწინებლად გამოართვა „ოპინელის» ფირმის დასაკეცი ჯიბის დანა, რომელიც ჯ. გ-ავას ეჭირა. როდესაც ამ უკანასკნელმა მოითხოვა ტელეფონის უკან დაბრუნება, ბოროტმოქმედებმა, მობილური ტელეფონი უკან რომ არ დაებრუნებინათ, ჯ. გ-ავას აღნიშნული დანით დაუწყეს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარა, რა დროსაც მისაკუთრეს „სიმენსის» ფირმის მობილური ტელეფონის აპარატი, ღირებული 100 ლარად და „ოპინელის» ფირმის დასაკეცი ჯიბის დანა, ღირებული 35 ლარად. იმავდროულად თავდამსხმელებმა დაზარალებულს დაუწყეს ცემა და სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით კ. ბ-შვილმა ჯ. გ-ავას ყელიდან ჩამოგლიჯა 400 ლარად ღირებული ოქროს ჯაჭვი, რომელიც მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრეს. ჯ. გ-ავამ მოახერხა თავდამსხმელებისაგან თავის დაღწევა და მომხდარის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინა პოლიციას.

იმავე დღეს, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, 01.⁴⁵ საათზე, კოლმეურნეობის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე, პუშკინის ქუჩაზე, დაზარალებულ ჯ. გ-ავას მითითებით დააკავეს თ. მ-ანი, ს. ა-ანი, თ. ტ-ევი და კ. ბ-შვილი. მათ დასაკავებლად მითითებულ ადგილზე მივიდნენ ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის შს სამმართველოს ინსპექტორ-გამომძიებლები - გ. შ-შვილი, ზ. ო-ძე და ზ. ო-შვილი. პოლიციის თანამშრომლებმა წარუდგინეს მათ თავიანთი თავი, სიტყვიერად განუმარტეს დაკავების საფუძველი, უფლებები და მოსთხოვეს დამორჩილება. ამის მიუხედავად ბოროტმოქმედებმა განიზრახეს წინააღმდეგობის გაწევა და მიმალვა. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ისინი არ დაემორჩილნენ პოლიციის თანამშრომლების კანონიერ მოთხოვნას, მათი საქმიანობის შეწყვეტის მიზნით, დანის მუქარითა და ფიზიკური ძალის გამოყენებით შეეცადნენ მიმალვას, რა დროსაც ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის შს სამმართველოს ინსპექტორ-გამომძიებელ გ. შ-შვილს შემოახიეს პერანგი. წინააღმდეგობის მიუხედავად, პოლიციელებმა კანონშესაბამისად შეძლეს ექვმიტანილთა დაკავება.

აღნიშნული ქმედებისათვის ს. ა-ანს საბოლოოდ განესაზღვრა 24 წლით თავისუფლების აღკვეთა, თ. მ-ანს - 20 წლით თავისუფლების აღკვეთა, თ. ტ-ევს - 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, კ. ბ-შვილს - 13 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 2 წლით გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევით.

მსჯავრდებულებს სასჯელის ათვლა დაეწყოთ 2006 წლის 27 აგვისტოდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორმა გ. გ-შვილმა, მსჯავრდებულების ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა - ლ. კ-ძემ და მ. ო-შვილმა.

პროკურორმა გ. გ-შვილმა სააპელაციო საჩივრით ითხოვა თ. მ-ანისა და კ. ბ-შვილის მიმართ განაჩენის გაუქმება, თ. მ-ანისათვის საბოლოოდ 23 წლით, ხოლო კ. ბ-შვილისათვის - 17 წლით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა.

მსჯავრდებულების - ს. ა-ანის, თ. ტ-ევისა და თ. მ-ანის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ლ. კ-ძე სააპელაციო საჩივრით ითხოვდა განაჩენის გაუქმებას და სამივე მსჯავრდებულის გამართლებას.

მსჯავრდებულ კ. ბ-შვილის ინტერესების დამცველი, ადვოკატი მ. ო-შვილი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა კ. ბ-შვილის გამართლებას სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ« ქვეპუნქტითა და 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით წარდგენილ ბრალდებებში, ხოლო სსკ-ის 276-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილებით - თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად 2000 ლარის ჯარიმის დაკისრებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 21 სექტემბრის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი - მსჯავრდებულ კ. ბ-შვილის ინტერესების დამცველი, ადვოკატი მ. ო-შვილი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი კ. ბ-შვილის საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ« ქვეპუნქტითა და 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით მსჯავრდების ნაწილში უკანონო და დაუსაბუთებელია, შემდეგ გარემოებათა გამო:

დაზარალებულ ჯ. გ-ავაზე ყაჩაღური თავდასხმა რომ არ მომხდარა, დასტურდება თვით დაზარალებულის ჩვენებით, რადგან მსჯავრდებულებს არ ჰქონიათ იარაღი, რომლითაც ისინი შეძლებდნენ სიცოცხლისათვის საშიში ძალადობის განხორციელებას; ყაჩაღობა რომ არ მომხდარა, იმითაც დასტურდება, რომ ჯ. გ-ავას წასვლის შემდეგ კ. ბ-შვილი და მასთან მყოფი პირები არ დამალულან; მათი დაკავება მოხდა რამდენიმე წუთში, ჩაუტარდათ პირადი ჩხრეკა, რის შედეგადაც მათ ჯ. გ-ავას ნივთები არ აღმოსჩენიათ; განაჩენი პოლიციელთათვის წინააღმდეგობის გაწევის ნაწილში ეფუძნება თავად დაზარალებულებისა და მოწმეების ურთიერთგამომრიცხავ ჩვენებებს; პოლიციის არც ერთი თანამშრომელი არ უთითებს კ. ბ-შვილზე, რომ მან პოლიციის რომელიმე მუშაკს შემოახია პერანგი ან დანით გაუწია წინააღმდეგობა.

რაც შეეხება კ. ბ-შვილის მსჯავრდებას საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილებით, მისთვის განსაზღვრული სასჯელი შეუსაბამოა დანაშაულის სიმძიმესა და ქმედების ხასიათთან; კ. ბ-შვილმა აღიარა ჩადენილი დანაშაული, დაზარალებულებს თვითონ აღმოუჩინა პირველადი დახმარება; ანაზღაურა მათთვის მიყენებული ზარალი (მათ შორის - მკურნალობის ხარჯებიც) და დაზარალებულებს მის მიმართ პრეტენზია არ გააჩნიათ; აღნიშნული მუხლის სანქცია სასჯელის ზომად ითვალისწინებს ჯარიმასაც.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, ადვოკატი მ. ო-შვილი ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 21 სექტემბრის განაჩენის გაუქმებას, კ. ბ-შვილის მიმართ სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ« ქვეპუნქტითა და 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით სისხლის სამართლის საქმის წარმოებით შეწყვეტას, ხოლო 276-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილებით განსაზღვრული სასჯელის ჯარიმით შეცვლას.

მსჯავრდებულების - ს. ა-ანისა და თ. მ-ანის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ლ. კ-ძე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონო და დაუსაბუთებელია, საქმის მასალები, ფაქტობრივი გარემოებები, სასამართლო სხდომაზე შეკრებილი მტკიცებულებები და განაჩენში მითითებული დასკვნები არ შეესაბამება ერთმანეთს, ამიტომ განაჩენი უნდა გაუქმდეს და თ. მ-ანისა და ს. ა-ანის მიმართ შეწყდეს სისხლის სამართლის საქმის წარმოება სსკ-ის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა« ქვეპუნქტის საფუძველზე; განაჩენი ემყარება მხოლოდ ეჭვსა და ვარაუდს, ყოველგვარი ეჭვი კი უნდა გადაწყდეს განსასჯელის სასარგებლოდ; მსჯავრდებულთა მიერ დანაშაულის ჩადენა ვერ დადასტურდა ვერც დაზარალებულებისა და ვერც - მოწმეების ურთიერთგამომრიცხავი ჩვენებებით; სააპელაციო სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია იმ გარემოებას, რომ ს. ა-ანი ინდემწარმე „ნ. თ-შვილის« მინიმარკეტის დაყაჩაღების დროს იმყოფებოდა საზღვარგარეთ, რაზეც სასამართლოს წარედგინა ს. ა-ანის საზღვარგარეთის პასპორტი საზღვრის გადაკვეთა-გადმოკვეთის სათანადო ჩანაწერით, რაც მხედველობაში არ იქნა მიღებული.

ადვოკატ ლ. კ-ძის მოსაზრებით, მსჯავრდებულებს არც სსკ-ის 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული ჩაუდენიათ, მით უმეტეს - არც არავითარი წინასწარი შეთანხმება ჰქონიათ; ასევე არასწორი კვალიფიკაცია აქვთ მსჯავრდებულებს წარდგენილი, რამდენადაც ისინი ერთგვაროვანი დანაშაულის ჩადენისათვის სისხლის სამართლის კოდექსის ცალ-ცალკე მუხლებით არიან დასჯილნი; სსკ-ის მე-15 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად (იმ დროს მოქმედი რედაქცია), არაერთგვარის ჩადენილი დანაშაული ნიშნავს ამ კოდექსის ერთი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენას; ამ კოდექსის სხვადასხვა მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული მხოლოდ მაშინ ჩაითვლება არაერთგვარისად, თუ ამის შესახებ მითითებულია ამ კოდექსის შესაბამის მუხლში; იმ შემთხვევაში, თუ არაერთგვარისი დანაშაული მკაცრ სასჯელს იწვევს, პირის მიერ ჩადენილი ორი ან მეტი დანაშაული დაკვალიფიცირდება ამ კოდექსის მუხლის შესაბამისი ნაწილით, რომლითაც გათვალისწინებულია სასჯელი არაერთგვარის დანაშაულისათვის; აქედან გამომდინარე, ს. ა-ანი და თ. მ-ანი ცალ-ცალკე - სსკ-ის 179-ე, 180-ე, 178-ე მუხლებით არ უნდა დასჯილიყვნენ, მით უმეტეს, ს. ა-ანს ორჯერ ჰქონდა წარდგენილი სსკ-ის

179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ» ქვეპუნქტი და ორივეთი დაისაჯა; სასამართლომ ამ შემთხვევაში არასწორად გაყენა კანონი, რამაც გამოიწვია მკაცრი სასჯელები.

გამომდინარე აღნიშნულიდან, ადვოკატი ლ. კ-მე ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებას და ს. ა-ანისა და თ. მ-ანის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას.

სამოტივაციო ნაწილი:

სსსკ-ის 567-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, პალატამ შეისწავლა საქმე სრული მოცულობით, გაანალიზა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ ისინი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

დაზარალებულმა ჯ. გ-ავამ სასამართლოს განუმარტა, რომ ღამით სამსახურიდან ბრუნდებოდა, დახვდა ოთხი პირი და სთხოვეს მობილური ტელეფონის გადაცემა. ს. ა-ანმა ისარგებლა მისი მობილური ტელეფონით, მაგრამ არ დაუბრუნა იმ მოტივით, რომ ზარს ელოდებოდა. ჯ. გ-ავას ხელთ ჰქონდა დანა, რომელიც ასევე გადასცა ერთ-ერთი პირს. ამის შემდეგ იგი ჩაიყვანეს ბაღში, სადაც დაიწყეს საუბარი და იმან, ვისაც დანა გადასცა, მოსთხოვა ოქროს ძეწვევი, რომელიც ყელზე ეკეთა. საპასუხოდ ჯ. გ-ავამ მოითხოვა თავისი ნივთების დაბრუნება, რა დროსაც გახსნეს დანა და ძეწვევი ძალით წაართვეს, კერძოდ, მოუქნიეს დანა, თ. მ-ანმა მუშტი დაარტყა, ხოლო კ. ბ-შილმა - თავი და შეხსნა ძეწვევი. დაზარალებულმა განაცხადა, რომ ყაჩაღურ თავდასხმაში მონაწილეობდა ოთხივე მსჯავრდებული, რომლებიც მისი მითითებით დააკავეს.

პოლიციელმა გ. შ-შილმა განაცხადა, რომ ჯ. გ-ავას მითითებით დააკავეს ოთხი პირი, რომლებმაც გაუწიეს წინააღმდეგობა და დაუზიანა პერანგი. ერთ-ერთს ჰქონდა დანა, რომელსაც იქნევდა და ეს საგანი ძალით წაართვა.

პოლიციელების - ზ. ო-ძისა და კ. ფ-ძის ჩვენებებითაც ირკვევა, რომ მათ გაუწიეს წინააღმდეგობა, რა დროსაც ერთ-ერთს დანა ეკავა.

მოწმე ო. ო-ანის განმარტებით, შემთხვევის ადგილზე იყო გაწევ-გამოწევა, ერთ-ერთ პოლიციელს მასიური ჰქონდა შემოხეული.

დაცვის პოლიციის თანამშრომელმა ე. მ-შილმა მიუთითა, რომ შემთხვევის ადგილზე გავიდა ოპერატიული ჯგუფი და დაეხმარა იქ მყოფ პოლიციელებს ოთხი პირის დაკავებაში.

დაზარალებულებმა - ა. ს-მემ და ნ. თ-შილმა სასამართლო სხდომაზე დამაჯერებლად ამხილეს ს. ა-ანი და კატეგორიულად განაცხადეს, რომ ეს უკანასკნელი იყო მათზე განხორციელებული ყაჩაღური თავდასხმის ერთ-ერთი მონაწილე.

მოწმე ს. ს-რუამ განმარტა, რომ სწორედ ს. ა-ანმა გაიტაცა ჩანთა ავტომანქანიდან და გაიქცა.

დაზარალებულმა ხ. ხ-შილმა სასამართლოს განუმარტა, რომ მობილური ტელეფონი გამოართვა თ. მ-ანმა და ს. ა-ანთან ერთად მიიმალა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული უტყუარი მტკიცებულებებით, ზემოაღნიშნულ და სხვა პირთა ჩვენებებით უდავოდ დადასტურებულია მსჯავრდებულთა მიერ მათთვის ბრალად შერაცხული ქმედებების ჩადენა და გასაჩივრებული განაჩენი დასაბუთებულია.

პალატა აღნიშნავს, რომ ამჟამად მოქმედი რედაქციის სსკ-ის მე-15 მუხლის 1-ლი ნაწილის მოქმედება არ ვრცელდება 2007 წლის 4 ივლისს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ცვლილების ამოქმედებამდე ჩადენილ ქმედებებზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პირმა ბოლო ქმედება ჩაიდინა სისხლის სამართლის კანონში შეტანილი ამ ცვლილების ამოქმედების შემდეგ (საქართველოს 2007 წლის 4 ივლისის კანონი, მუხლი მე-2).

ამდენად, გასაჩივრებული განაჩენიდან ს. ა-ანის მიმართ უნდა ამოირიცხოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული მსჯავრი და, შესაბამისად, ს. ა-ანს უნდა შეუმსუბუქდეს სასჯელი.

პალატა განმარტავს, რომ ადრე მოქმედი რედაქციის სსკ-ის მე-15 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, არაერთგზისი დანაშაული ნიშნავდა ამ კოდექსის ერთი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენას. სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის შენიშვნის მე-2 ნაწილი არ გულისხმობს, რომ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული, სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა მუხლით გათვალისწინებული სხვადასხვა დანაშაულისათვის პირის ქმედებები უნდა დაკვალიფიცირდეს ერთი მუხლით და მას უნდა დაენიშნოს ერთი სასჯელი.

მსჯავრდებულ კ. ბ-შილს სასჯელის მოხდის ვადაში უნდა ჩაეთვალოს საქმის წინასწარი გამოძიებისას დაკავების დრო - 2005 წლის 15 თებერვლიდან 17 თებერვლამდე - 2 დღე.

ამასთან, «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის შესაბამისად, მსჯავრდებული კ. ბ-შილი უნდა გათავისუფლდეს სსკ-ის 276-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილებით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, 567-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის 1-ლი მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულების - ვ. ბ-შვილის, ს. ა-ანისა და თ. მ-ანის ინტერესების დამცველი ადვოკატების - მ. ო-შვილისა და ლ. კ-ძის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 21 სექტემბრის განაჩენი შეიცვალოს: გასაჩივრებული განაჩენიდან ს. ა-ანის მიმართ ამოირიცხოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული მსჯავრი;

«ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის 1-ლი მუხლის შესაბამისად, ვ. ბ-შვილი გათავისუფლდეს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან;

ს. ა-ანს საბოლოოდ განესაზღვროს 18 წლით თავისუფლების აღკვეთა;

ვ. ბ-შვილს საბოლოოდ განესაზღვროს 11 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა;

ვ. ბ-შვილს სასჯელის მოხდის ვადაში ჩათვალოს საქმის წინასწარი გამოძიებისას დაკავების დრო - 2005 წლის 15 თებერვლიდან 2005 წლის 17 თებერვლამდე - 2 დღე.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. თვითნებობა

განჩინება

№2128-აპ

28 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),

ლ. მურუსიძე,

მ. ოშხარელი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ხ. დ-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 1 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 31 აგვისტოს განაჩენით ხ. დ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 360-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენაში, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა ჯარიმა - 1000 ლარის ოდენობით.

განაჩენის მიხედვით, ხ. დ-ძეს მსჯავრი დაედოთ თვითნებობისათვის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და რაც გამოიხატა შემდეგში: 2000 წლის 20 ივნისს ურეკის საკრებულოს მიერ სოფელ ... მცხოვრებ ჯ. ფ-ძისათვის მიზომილი და მიკუთვნებულ იქნა 0.20 ჰა მიწის ნაკვეთი სოფელ ... ტერიტორიაზე. აღნიშნული მიწის ნაკვეთიდან 350 კვ/მ მიწის ნაკვეთს დაეპატრონა ხ. დ-ძე და არ მისცა ჯ. ფ-ძეს ნაკვეთით სარგებლობის საშუალება, რისთვისაც 2003 წლის 15 სექტემბერს იგი გაასამართლა ხელვაჩაურის რაიონულმა სასამართლომ და მას სასჯელის ზომად განესაზღვრა ჯარიმა - 1000 ლარის ოდენობით. მიუხედავად ამისა, ხ. დ-ძე 2003 წლიდან კვლავ თვითნებურად დაეპატრონა ჯ. ფ-ძისათვის საკარმიდამოდ მიზომილ 350 კვ.მ მიწის ნაკვეთს და არ მისცა მას მიწის ნაკვეთით სარგებლობის საშუალება. აღნიშნული ქმედებით მან დაზარალებულ ბ. ფ-ძეს მიაყენა 232.5 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ ხ. დ-ძის დამცველმა, ადვოკატმა ვ. ხ-შვილმა, რომელიც თავისი საჩივრით ითხოვდა ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 31 აგვისტოს განაჩენის გაუქმებასა და ხ. დ-ძის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 1 ნოემბრის განაჩენით სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, რის შედეგადაც ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 31 აგვისტოს განაჩენი მსჯავრდებულ ხ. დ-ძის მიმართ დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ხ. დ-ძემ, რომელიც თავისი საჩივრით ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 1 ნოემბრის განაჩენის გაუქმებას და მის მიმართ გამამართლებელ საფუძველზე სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას იმ მოტივით, რომ მას არ ჩაუდენია დანაშაული, ხოლო განაჩენი უკანონოა, რადგან მისი მსჯავრდება მოხდა სრულიად უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ხ. დ-ის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ ხ. დ-ის ბრალდების საქმეში წარმოდგენილია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც დასტურდება, რომ მან ნამდვილად ჩაიდინა თვითნებობა. საქმეში არ არსებობს სხვა ისეთი მტკიცებულებები, რომლებითაც გაბათილდებოდა, ანდა ეჭვქვეშ დადგებოდა ხ. დ-ის მიმართ განაჩენით შერაცხული ბრალდება. სააპელაციო სასამართლომ სწორად დააკვალიფიცირა მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი ქმედება და არ არსებობს საფუძველი მისი უარყოფისათვის.

რაც შეეხება ხ. დ-ის მიმართ განაჩენით დანიშნულ სასჯელს, უნდა აღინიშნოს, რომ იგი განსაზღვრულია ჩადენილი ქმედების გათვალისწინებით, წარმოადგენს ბრალის ხარისხის ადეკვატურ ზომას, არის სამართლიანი და არ არსებობს საფუძველი მისი შეცვლისათვის.

ამავე დროს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ხ. დ-ის მიმართ უნდა გავრცელდეს «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მოქმედება, კერძოდ, აღნიშნული კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, იგი უნდა გათავისუფლდეს მის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის მოხდისგან იმის გათვალისწინებით, რომ იმავე კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ამნისტია არ ვრცელდება უკვე გადახდილ ჯარიმაზე, რომელიც დანიშნული იყო ძირითადი სასჯელის სახით.

ზემოაღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 1 ნოემბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ ხ. დ-ის სასიკეთოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ხ. დ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 1 ნოემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებული ხ. დ-მე «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 360-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელის - 1000 ლარი ჯარიმის გადახდისაგან იმის გათვალისწინებით, რომ იმავე კანონის მე-3 მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, ამნისტია არ ვრცელდება გადახდილ ჯარიმაზე, რომელიც დანიშნული იყო ძირითადი სასჯელის სახით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თვითნებობა

განჩინება

№1220-აპ

22 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),**
- ზ. მეიშვილი,**
- მ. ოშხარელი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულების - ი. ხ-შვილისა და ტ. ხ-შვილის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 6 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

საგარეჯოს რაიონული სასამართლოს 2007 წლის 23 იანვრის განაჩენით:

ი. ხ-შვილი ცნობილ იქნა ბრალეულად სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის პირველი ნაწილით, იმავე მუხლის მეორე ნაწილის «გ» და მესამე ნაწილის «დ» ქვეპუნქტებით (2000 წლის 30 მაისის რედაქცია), სსკ-ის მე-19 მუხლითა და 177-ე მუხლის პირველი ნაწილით, მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტითა და მეოთხე ნაწილის «გ» ქვეპუნქტით (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია)

გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რისთვისაც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით, რასაც, თანახმად სსკ-ის 59-ე მუხლისა, დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 1 წლით, 3 თვითა და 4 დღით თავისუფლების აღკვეთა, რის გამოც მსჯავრდებულ ი. ხ-შვილს საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 10 წლის, 3 თვისა და 4 დღის ვადით;

ტ. ხ-შვილი ცნობილ იქნა ბრალეულად სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლითა და 177-ე მუხლის პირველი ნაწილით, მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტითა და მეოთხე ნაწილის «გ» ქვეპუნქტით (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია) გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რისთვისაც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით, რასაც, თანახმად სსკ-ის 59-ე მუხლისა, დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 2 წლით, 3 თვითა და 26 დღით თავისუფლების აღკვეთა, რის გამოც ტ. ხ-შვილს საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 10 წლის, 3 თვისა და 26 დღის ვადით;

მ. მ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 360-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით.

განაჩენის მიხედვით, მათ მსჯავრი დაედოთ:

ი. ხ-შვილს, - ქურდობისათვის, ჩადენილი იმის მიერ, ვინც ორჯერ იყო ნასამართლევი სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. მასვე მსჯავრი დაედო ქურდობის მცდელობისათვის, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ და იმის მიერ, ვინც ორჯერ იყო ნასამართლევი სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის;

ტ. ხ-შვილს - ქურდობის მცდელობისათვის, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ და იმის მიერ, ვინც ორჯერ იყო ნასამართლევი სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის;

მ. მ-შვილს - თვითნებობის ჩადენისათვის, ე.ი. ნამდვილად თავისად დაგულვებული უფლების დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ განხორციელებისათვის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

განაჩენის მიხედვით, ი. ხ-შვილის, ტ. ხ-შვილისა და მ. მ-შვილის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2005 წლის აპრილის თვის დაუდგენელ რიცხვში ი. ხ-შვილმა ქ. საგარეჯოში, იუნკერთა ქუჩაზე, შენიშნა ხეზე მიბმული, მ. მ-შვილის კუთვნილი ერთი სული დეკეული და განიზრახა მისი ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. იგი მივიდა ხესთან, აუშვა საქონელი და ფარულად დაეუფლა მას. ნაქურდალი დეკეული მან გადაიყვანა ქ. საგარეჯოში მცხოვრებ გ. ზ-მის საცხოვრებელ სახლში, რომელსაც მოატყუა, რომ თითქოს საქონელი თავისი იყო. ი. ხ-შვილმა იქვე დაკლა მოპარული საქონელი, ხოლო მისი ხორცი გ. ი-ურის კუთვნილი «ვაზ - 2106» მარკის ავტომანქანით, სახ. № რას - 396, წაიღო თბილისში, ვარკეთილის ბაზარში და გამოძიებით დაუდგენელ პირზე მოახდინა მისი რეალიზაცია, რითაც დაზარალებულ მ. მ-შვილს მიაყენა მნიშვნელოვანი ზიანი 400 ლარის ოდენობით.

დაზარალებულ მ. მ-შვილისათვის ცნობილი გახდა თავისი კუთვნილი ერთი სული დეკეულის ქურდობის ჩამდენის ვინაობა, რის შემდეგაც მან არაერთხელ მიმართა ი. ხ-შვილის მამას - ი. ხ-შვილს, რათა სანაცვლოდ მას მიეცა თავისი ძროხა, რაზედაც უარი მიიღო. ამის შემდეგ მ. მ-შვილმა განიზრახა, თვითნებურად, ე.ი. თავისად დაგულვებული უფლების დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ განხორციელების გზით მიეთვისებინა ი. ხ-შვილის კუთვნილი პირუტყვი. 2005 წლის 18 ივნისს, საღამოს, მ. მ-შვილი თავის შვილთან ერთად, «ვაზ - 2103» მარკის ავტომანქანით მივიდა ი. ხ-შვილის საცხოვრებელ სახლში და თვითნებურად დაეუფლა მის კუთვნილ ერთ სულ მსხვილფეხა საქონელს, რომელიც გადაიყვანა თავის საცხოვრებელ სახლში. აღნიშნულით მან დაზარალებულს მიაყენა მნიშვნელოვანი ზიანი 800 ლარის ოდენობით.

ზემოაღნიშნულის გარდა, ი. ხ-შვილი დანაშაულებრივად დაუკავშირდა გარდაზნის რაიონის სოფ. ... მცხოვრებლებს - ი. ბ-ულსა და ტ. ხ-შვილს. ისინი შეთანხმდნენ, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაუფლებოდნენ საგარეჯოს რაიონის სოფ. ... მცხოვრები ნ. ტ-მის კუთვნილ ცხენს. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით 2006 წლის 12 ივნისს, ღამით, დაახლოებით 2 საათზე, ი. ხ-შვილი, ი. ბ-ული და ტ. ხ-შვილი მივიდნენ ნ. ტ-მის სახლთან და შეეცადნენ ეზოში დაბმული ცხენის დაუფლებას. მაღლის ყეფის ხმაზე სახლიდან გამოსულმა ნ. ტ-მემ შენიშნა ისინი, რის გამოც დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა, ვერ მოიყვანეს რა თავიანთი განზრახვა სისრულეში, მიატოვეს შემთხვევის ადგილი და სცადეს მიმალვა. მათ დაედევნა დაზარალებული, რომელმაც მეზობლების დახმარებით ისინი დააკავა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ ტ. ხ-შვილის დამცველმა, ადვოკატმა მ. დ-მემ, მსჯავრდებულ მ. მ-შვილის დამცველმა, ადვოკატმა ნ. ა-შვილმა და მსჯავრდებულმა ი. ხ-შვილმა. აპელანტები საჩივრით ითხოვდნენ გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებას და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენას იმ მოტივით, რომ მათ არ ჩაუდენიათ განაჩენით მათთვის ბრალად შერაცხული ქმედებები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 6 ივნისის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, ხოლო საგარეჯოს რაიონული სასამართლოს 2007 წლის 23 იანვრის განაჩენში შევიდა შემდეგი ცვლილებები:

მსჯავრდებული ტ. ხ-შვილი გამართლდა სსკ-ის მე-19 მუხლსა და 177-ე მუხლის მეოთხე ნაწილის «გ» ქვეპუნქტის საფუძველზე შერაცხულ ბრალდებაში. მასვე მსჯავრდებიდან ამოერიცხა სსკ-ის მე-19 მუხლსა და 177-ე მუხლის პირველ ნაწილზე მითითება, როგორც ზედმეტად შერაცხული ბრალდება. იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის მე-19 მუხლისა და 177-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტების საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლისა და 6 თვის ვადით. სსკ-ის 59-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, დანიშნულ სასჯელს დაემატა წინა განაჩენით დანიშნული მოუხდელი სასჯელიდან 2 წლით, 3 თვითა და 21 დღით თავისუფლების აღკვეთა, რის შედეგადაც ტ. ხ-შვილს საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლის, 9 თვისა და 21 დღის ვადით.

მსჯავრდებულ ი. ხ-შვილს მოეხსნა სსკ-ის 177-ე მუხლის პირველი ნაწილის, აგრეთვე სსკ-ის მე-19 მუხლისა და 177-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე შერაცხული ბრალდება, როგორც ზედმეტად წარდგენილი. მისი ქმედება სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის «გ» ქვეპუნქტიდან და იმავე მუხლის მესამე ნაწილის «დ» ქვეპუნქტიდან (2000 წლის 30 მაისის რედაქცია) გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» ქვეპუნქტსა და იმავე მუხლის მეოთხე ნაწილის «გ» ქვეპუნქტზე (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია). იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» ქვეპუნქტისა და იმავე მუხლის მეოთხე ნაწილის «გ» ქვეპუნქტის (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია), ასევე სსკ-ის მე-19 მუხლისა და 177-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტისა და მეოთხე ნაწილის «გ» ქვეპუნქტის (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია) საფუძველზე, რისთვისაც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით.

სსკ-ის 59-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, დანიშნულ სასჯელს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან დაემატა თავისუფლების აღკვეთა 11 თვისა და 12 დღის ვადით, რის გამოც ი. ხ-შვილს საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 წლის, 11 თვისა და 12 დღის ვადით.

სხვა ნაწილში განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულებმა - ტ. ხ-შვილმა და ი. ხ-შვილმა საკასაციო საჩივრებით მიმართეს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. თავიანთი საჩივრებით კასატორები ითხოვენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 6 ივნისის განაჩენის გაუქმებასა და მათი ბრალდების საქმის ახალი განხილვისათვის თბილისის სააპელაციო სასამართლოში დაბრუნებას იმ მოტივით, რომ მათ დანაშაული არ ჩაუდენიათ, ხოლო განაჩენი არის უკანონო, ვინაიდან იგი გამოტანილია არასარწმუნო მტკიცებულებების საფუძველზე, რომლებიც მოპოვებულია საპროცესო ნორმების დარღვევით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები სრული მოცულობით და შეამოწმა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მსჯავრდებულების - ი. ხ-შვილისა და ტ. ხ-შვილის ბრალდების საქმის მასალების შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ საქმეზე ჩატარებული წინასწარი გამოძიებითა და სასამართლო გამოძიებით მოპოვებულია უტყუარი და სკვამრისი მტკიცებულებები, რომლებითაც დასტურდება, რომ მათ ნამდვილად ჩადინეს ქურდობა და ქურდობის მცდელობა მაკვალიფიცირებელ გარემოებებში, კერძოდ, მხედველობაშია დაზარალებულებისა და მოწმეების ჩვენებები, რომლებითაც ისინი იმხილებიან დანაშაულის ჩადენაში და რომელთა მოპოვებისას არ ყოფილა დაშვებული საპროცესო ნორმების ისეთი არსებითი დარღვევები, რის გამო შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს სასამართლოს დასკვნები მსჯავრდებულთა ბრალეულობის თაობაზე.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს მსჯავრდებულების - ი. ხ-შვილისა და ტ. ხ-შვილის მოსაზრებებს მათი უდანაშაულობის თაობაზე, რადგან ისინი მოკლებულია რეალურ საფუძველს, რის გამოც საკასაციო პალატა თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენში მოცემული დასკვნები მათი ბრალეულობის თაობაზე არავითარ ეჭვს არ იწვევს, ხოლო კასატორების მოთხოვნა განაჩენის გაუქმების შესახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს. ამასთან ერთად, საკასაციო პალატის დასკვნით, არ არსებობს კანონიერი საფუძველი გასაჩივრებული განაჩენის მსჯავრდებულ ტ. ხ-შვილის სასიკეთოდ შეცვლისათვის.

ამავე დროს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენი უნდა დაზუსტდეს მსჯავრდებულ ი. ხ-შვილის მიერ ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციის, ასევე მის მიმართ დანიშნული სასჯელის ნაწილში. მხედველობაშია შემდეგი გარემოება: სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ ი. ხ-შვილის ქმედება ერთ ნაწილში დააკვალიფიცირა სსკ-ის მე-19 მუხლითა და 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის «გ» ქვეპუნქტით, ასევე სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის «გ» ქვეპუნქტით, რომლებიც ითვალისწინებენ პასუხისმგებლობას ქურდობის მცდელობისა და დამთავრებული ქურდობისათვის, როდესაც ისინი ჩადენილია იმ პირის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევი სხვისი ნივთის

მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების ან გამოძალვისათვის. საქმეში არსებული მასალებით ირკვევა, რომ ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლის თანახმად, მსჯავრდებულ ი. ხ-შვილს ბოლო დანაშაულის ჩადენის დროს ჰქონდა მხოლოდ ერთი გაუქარწყლებელი ნასამართლობა მის მიერ ჩადენილ სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებასთან დაკავშირებით, რაც იმას ნიშნავს, რომ მას ბოლო დანაშაული - ქურდობის მცდელობა და დამთავრებული ქურდობა ჩადენილი აქვს არაერთგზის.

განხილული გარემოებიდან გამომდინარე, მისი ქმედება სსკ-ის მე-19 მუხლიდან და 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის «გ» ქვეპუნქტიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის მე-19 მუხლსა და 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტზე, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას არაერთგზის ჩადენილი ქურდობის მცდელობისათვის, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ ი. ხ-შვილის მიერ დამთავრებული ქურდობა ჩადენილია 2006 წლის 31 მაისამდე, ამ ნაწილში მისი ქმედება სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის «გ» ქვეპუნქტიდან (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია) უნდა გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტზე (2000 წლის 30 მაისის რედაქცია), რომელიც ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას არაერთგზის ჩადენილი დამთავრებული ქურდობისათვის.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მსჯავრდებულ ი. ხ-შვილს მის მიერ ჩადენილი ბოლო დანაშაულისათვის სააპელაციო სასამართლოს განაჩენით განსაზღვრული სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით უნდა შეუმცირდეს და, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის, მისი პიროვნების, საქმის სხვა გარემოებების გათვალისწინებით, მას სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენით ამ სასჯელს დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - თავისუფლების აღკვეთა 11 თვისა და 12 დღის ვადით, რომელიც მოითხოვს დაზუსტებას, რადგან აღნიშნული განაჩენის აღწერილობით ნაწილში მითითებულია, რომ ი. ხ-შვილი ბოლო მსჯავრდების შემდეგ სასჯელის მოხდისგან, რომლის ათვლა დაიწყო 2000 წლის 6 ივლისიდან, გათავისუფლდა 2005 წლის 15 მარტს, ანუ დანიშნულ ვადაზე 9 თვითა და 24 დღით ადრე. ამიტომ სწორედ ეს ვადა უნდა დაემატოს გასაჩივრებული განაჩენით ი. ხ-შვილის მიმართ განსაზღვრულ ძირითად სასჯელს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 6 ივნისის განაჩენის კანონიერება სარევიზიო წესით გადამოწმდა მსჯავრდებულ მ. მ-შვილის მიმართაც, რომელსაც საკასაციო საჩივარი არ შეუტანია. საქმეში არსებული მასალებით უტყუარად არის დადგენილი მ. მ-შვილის მიერ სსკ-ის 360-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, რისთვისაც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით. უნდა აღინიშნოს, რომ გასაჩივრებული განაჩენი მის მიმართ როგორც ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციის, ისე სასჯელის ნაწილში არის დასაბუთებული.

ამასთან, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ მ. მ-შვილის მიმართ უნდა გავრცელდეს «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მოქმედება, კერძოდ, აღნიშნული კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, აგრეთვე, იმავე კანონის მე-3 მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, რომლის მიხედვით ამნისტია არ ვრცელდება გადახდილ ჯარიმაზე, რომელიც შეფარდებული იყო ძირითადი სასჯელის სახით, იგი უნდა გათავისუფლდეს სასამართლოს მიერ მისთვის ძირითად სასჯელად დანიშნული ჯარიმის მოხდისგან იმ შემთხვევაში, თუკი მას აღნიშნული ჯარიმა არ გადაუხდია მოცემულ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 6 ივნისის განაჩენი სხვა ნაწილში მსჯავრდებულების - ი. ხ-შვილის, ტ. ხ-შვილისა და მ. მ-შვილის მიმართ უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა», «დ» ქვეპუნქტებით, 567-ე მუხლითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულების - ი. ხ-შვილისა და ტ. ხ-შვილის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 6 ივნისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ ი. ხ-შვილის ქმედება სსკ-ის მე-19 მუხლიდან და 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის «გ» ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის მე-19 მუხლსა და 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტზე, ასევე მისივე ქმედება სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის «გ» ქვეპუნქტიდან (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია) გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტზე (2000 წლის 30 მაისის რედაქცია), ხოლო ჩადენილი დანაშაულისათვის აღნიშნული განაჩენით მისთვის განსაზღვრული სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით - შეუმცირდეს და მას სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით, რასაც დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 9 თვითა და 24

დღით თავისუფლების აღკვეთა და მსჯავრდებულ ი. ხ-შვილს საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 7 წლის, 9 თვისა და 24 დღის ვადით.

იმავე განაჩენით მსჯავრდებული მ. მ-შვილი «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, აგრეთვე, იმავე კანონის მესამე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, რომლის მიხედვით ამნისტია არ ვრცელდება გადახდილ ჯარიმაზე, რომელიც დანიშნული იყო ძირითადი სასჯელის სახით, გათავისუფლდეს სსკ-ის 360-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელის - 1000 ლარის ჯარიმის მოხდისაგან, თუკი მას აღნიშნული ჯარიმა არ გადაუხდია მოცემულ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ.

გასაჩივრებელი განაჩენი სხვა ნაწილში მსჯავრდებულების - ი. ხ-შვილის, ტ. ხ-შვილისა და მ. მ-შვილის მიმართ დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.